სენსიტიური ისტორიის სწავლება

კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში

პედაგოგიური
გზამკვლევი

პროექტის გუნდი:
კრისტინა სმოლიანინოვაიტე, მარკუს შავასი

პედაგოგიური კონსულტანტები:
ბოიანა დუიკოვიჩ-ბლაგოევიჩი, ძინტრა ლიეპინა

სტილური რედაქტორი:
ესმა მანია

ქართულ ენაზე თარგმნა:
ეკა კალანდაძე

ინგლისური ენობრივი რედაქტორი:
რიჩარდ კუმბსი

დიზაინერი:
ნატალი კვაჭაძე; დიმიტრი მოდრეკელიძე

გამომცემელი:
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი e.V./ Civil Society Forum e.V.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი e.V. / სამდივნო
Badstr. 44, 13357 ბერლინი, გერმანია
ტელ: +49 30 46 06 45 40
info@confronting-memories.org
www.confronting-memories.org

დოკუმენტი მომზადდა ჩვენი დონორების ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი e.V. და არ ასახავს დონორების შეხედულებებს. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და არ წარმოადგენს CSF-ის შეხედულებებს.

© 2024 Civil Society Forum e.V. / Confronting Memories
ყველა უფლება დაცულია

სენსიტიური ისტორიის სწავლება: კონფლიქტები პოსტსაბჭოთა სივრცეში

შემთხვევის ანალიზი სომხეთიდან, საქართველოდან და მოლდოვიდან

პედაგოგიური გზამკვლევი

სარჩევი

შესავალი 5

კრისტინა სმოლიანინოვაიტე

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი (1988 წლიდან-დღემდე)

წინაპირობა და კონტექსტი 9

ცხოვრება სასაზღვრო სოფელში

სასწავლო აქტივობა 14

დანართი I	წყაროები	19
	ჯგუფი 1 დემოგრაფია	19
	ჯგუფი 2 ეკონომიკა	22
	ჯგუფი 3 განათლება	24
	ჯგუფი 4 ცხოვრების წესი	27
დანართი II	თანატოლთა შეფასების კრიტერიუმები	30

სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში (1991-92)

წინაპირობა და კონტექსტი 32

თავისუფლება, რომელიც იქცა ტრაგედიად

სასწავლო აქტივობა 37

დანართი I	ვიდეოს ტრანსკრიპტი	43
დანართი II	წყაროები	44
	ჯგუფი 2 ოპოზიციის მომხრეები	46
	ჯგუფი 3 თვითმხილველთა მონათხრობი (საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები)	48
დანართი III	სამოქალაქო ომი ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში	52
დანართი IV	ძირითადი თარიღები	56

ომი დნესტრზე (1992)

წინაპირობა და კონტექსტი 59

დნესტრზე ომის გავლენა მოლდოვის რესპუბლიკაზე

სასწავლო აქტივობა 64

დანართი I	წყაროები	69
	ჯგუფი 1 პოლიტიკური გავლენა	69
	ჯგუფი 2 ეკონომიკური გავლენა	71
	ჯგუფი 3 კულტურული გავლენა	73
დანართი II	საშინაო დავალების აქტივობის სამუშაო ფურცელი	75

შესავალი

კრისტინა სმოლიანინოვაიტე

Confronting Memories-ის ხელმძღვანელი, სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი, ბერლინი, გერმანია

2020 წლიდან, Confronting Memories-ის პროგრამა მთელს ევროპაში ქმნის ქსელურ პლატფორმასა და სივრცეს ისტორიის მასწავლებლებისთვის, რათა გაცვალონ განსხვავებული ხედვები მე-20 და 21-ე საუკუნეების ისტორიაზე და გააფართოონ ისტორიის ინტერპრეტაციის პერსპექტივები. ბოლო სამი წლის განმავლობაში, ვიმუშავეთ 80-ზე მეტ ისტორიის მასწავლებელთან, რათა მოგვემზადებინა მასალა, რომელიც მორგებულია მულტიპერსპექტიული და ღირებულებებზე დაფუძნებული ისტორიის სწავლებას.

2022 წელს უკრაინაში ფართომასშტაბიანი ომის დაწყების შემდეგ, მრავალი პროექტი ეხებოდა განათლების საკითხს საბჭოთა წარსულის მქონე ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა, დაკვირვება მიმდინარეობდა იმაზე, თუ რატომ არის განათლება მნიშვნელოვანი მომავალი კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად, მაგრამ ცოტამ თუ გაიაზრა ომის დასასრული და იკითხა, რა ინსტრუმენტები და მეთოდები შეიძლება იყოს გამოყენებული ომის შესახებ სწავლებისთვის. 2023 წელს, გაცვლითი სემინარების მეშვეობით, სხვა, კონკრეტულად, სომხეთში, საქართველოსა და მოლდოვაში მიმდინარე კონფლიქტებზე ფოკუსირებით, ვეძებდით პასუხებს ამ რთულ კითხვაზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მულტიპერსპექტიული ისტორიული განათლების ხელშეწყობისას პროგრამაში დავნერგეთ ახალი პერსპექტივები, პედაგოგიური მეთოდოლოგია და ჩავრთეთ ახალი აუდიტორია.

პედაგოგიურ გზამკვლევში განხილული კონფლიქტები სენსიტიურია, რამეთუ ისევ ახალია ადამიანთა კოლექტიურ მეხსიერებაში: ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებმაც უშუალოდ განიცადეს ესა თუ ის კონფლიქტი, იქნებიან ესენი ჯარისკაცები, დაზარალებულები, ბავშვები თუ ისინი, ვინც დაკარგა საყვარელი ადამიანი. გარდა ამისა, სასკოლო სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებში ეს კონფლიქტები ხშირად ისწავლება სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიაზე აქცენტით (თუ საერთოდ ისწავლება), რაც წარმოაჩენს იმ მომენტში მოქმედი რეჟიმის თვალსაზრისს.

2023 წლის ზაფხულში მასწავლებლებმა სომხეთიდან, საქართველოდან და მოლდოვიდან მონაწილეობა მიიღეს სემინარებში, რომლებსაც ხელმძღვანელობდა ფასილიტატორი ბოსნიადა ჰერცეგოვინიდან, ქვეყნიდან, რომელსაც აქვს კონფლიქტის პირველი გამოცდილება ბოლო ათწლეულების განმავლობაში.

ფასილიტატორი ძალიან ბევრს მუშაობდა თავის ქვეყანაში ახალი მასალის შესაქმნელად, რომლის გამოყენება შესაძლებელი იქნება იუგოსლავიის კომპლექსური ომების სწავლებისთვის, ამავე დროს, ცდილობდა, თავიდან აერიდებინა ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილი დაპირისპირება და გადასულიყო სამხედრო-პოლიტიკური განათლებიდან უფრო სოციალურ/საზოგადოებრივ მიდგომაზე. ამ მიდგომამ საფუძველი ჩაუყარა სემინარებს, რომელთა საშუალებითაც გადამზადდნენ მასწავლებლები თავიანთი ქვეყნების სენსიტიურ თემებზე საკუთარი საგაკვეთილო მასალის მოსამზადებლად.

ჩვენი რესურსი შექმნილია იმ მიზნით, რომ იყოს მაქსიმალურად პრაქტიკული, რის გამოც შემუშავებულია თავად ისტორიის მასწავლებლებისა და პედაგოგების მიერ, პედაგოგიური ექსპერტების პროფესიონალური გუნდის კონსულტაციებითა და მხარდაჭერით.

სემინარების დასრულების შემდეგ მასწავლებლები მუშაობდნენ ეროვნულ გუნდებში, რათა შეემუშავებინათ მასალა, ცდილობდნენ თემების ახალი გზებით წარმოჩენასა და მულტიპერსპექტიული მიდგომის გამოყენებას, რომელსაც განვსაზღვრავთ, როგორც კონკრეტული ისტორიული მოვლენის თუ პერიოდის სხვადასხვა თანამედროვე ინტერპრეტაციის აღიარებას, ასევე დროთა განმავლობაში არაერთი პერსპექტივის ევოლუციას. მულტიპერსპექტიულობა სხვადასხვა ეროვნული გადასახედიდან ყოველთვის არ არის შესაძლებელი, ვნახავთ კიდევაც საზოგადოების კონკრეტულ მაგალითებს, თუ როგორ რეაგირებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფი გარკვეულ მოვლენაზე.

ევროპის საბჭოს მიერ განსაზღვრულ პრინციპებზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, Confronting Memories-ის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების სწავლების ჩართვა და ისტორიის სწავლების დღევანდელობასთან დაკავშირება. ეს გულისხმობს ადამიანის უფლებებისა და ღირსების პატივისცემას, კულტურული მრავალფეროვნების ღირებულებების პატივისცემას, სხვა შეხედულებებისა და პრაქტიკისადმი ღიაობას, სამოქალაქო აზროვნებასა და პასუხისმგებლობას. მასწავლებლებმა, რომლებიც მუშაობდნენ გზამკვლევზე, ისწავლეს ამ კომპეტენციების ჩართვა საგაკვეთილო მასალების კონფიგურაციაში, რაც მოსწავლეებს ხელს შეუწყობს კრიტიკული კითხვების დასმის უნარის გამომუშავებაში.

გზამკვლევი რესურსია არა მხოლოდ იმ მასწავლებლებისთვის, ვინც კონფლიქტის ან ომის ზონიდან არიან, ან იმ ქვეყანაში ცხოვრობენ, სადაც ბოლო დროს კონფლიქტი მიმდინარეობდა, ის შექმნილია ამ რეგიონებს მიღმა მცხოვრები მასწავლებლებისთვისაც. მანამ, სანამ წარმოგიდგენთ საგაკვეთილო აქტივობის სამ მოდელს, გზამკვლევი გვაწვდის მოკლე ინფორმაციას სომხეთის, საქართველოსა და მოლდოვის ლოკალურ კონტექსტებზე, ხანგრძლივი მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის (1988-დღემდე), საქართველოს სახელმწიფო გადატრიალებისა (1991-92) და დნესტრზე ომის (1992) შესახებ.

სომეხი მასწავლებლების მიერ შემუშავებული საგაკვეთილო გეგმა საზღვრისპირა სოფელ მოვსესის მაგალითზე ასახავს, თუ როგორ შეცვალა და გავლენა მოახდინა 1988 წელს დაწყებულმა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტმა საერთაშორისო კონფლიქტის ზონის საზღვარზე ცხოვრების ყველა ასპექტზე. მოსწავლეებისთვის

მნიშვნელოვანი იქნება კონფლიქტის პერიფერიის გააზრება და არა ცენტრის პერსპექტივიდან - ფოკუსირება ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტის ყველაზე მეტად დაზარალებულ ადგილებში. ეს საშუალებას მისცემს პედაგოგებსა და მოსწავლეებს განიხილონ კონფლიქტის არა მხოლოდ ოფიციალური, ზემოდან ქვევით, პოლიტიკური და იდეოლოგიური პერსპექტივა, არამედ ყველაზე დაუცველთა პერსპექტივაც.

მასწავლებლებმა საქართველოდან გადაწყვიტეს, მოემზადებინათ გაკვეთილი საქართველოს სახელმწიფო გადატრიალებისა (1991-92) და შემდგომი სამოქალაქო ომის შესახებ – კონფლიქტი, რომელიც ნაკლებად შესწავლილ და სენსიტიურ თემად რჩება ქართულ საზოგადოებაში სხვადასხვა ადგილობრივი დაინტერესებული მხარის განსხვავებული მოსაზრებების გამო. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ისტორიკოსებსა და ფართო საზოგადოებას განსხვავებული მოსაზრებები აქვს, კონფლიქტის ფართომასშტაბიანი ისტორიოგრაფიული შესწავლა ჯერ არ განხორციელებულა. ამის გამო რთულია საქართველოს სამოქალაქო ომის შესახებ სწავლება სახელმწიფო სკოლებში: არ არსებობს კონფლიქტის შესახებ პოლიტიკური გავლენისა და პროპაგანდისგან თავისუფალი, ობიექტური შეხედულება. პრობლემას ემატება ისტორიის სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში ამ თემაზე არასრული და ეპიზოდური ინფორმაცია. ამ მოვლენის გაცნობა ხელს შეუწყობს 1991-93 წლების საქართველოს სამოქალაქო ომის უფრო სიღრმისეულად გაგებას

მოლდოვის შემთხვევაში, მასწავლებლებმა შეიმუშავეს საგაკვეთილო მასალა 1992 წლის დნესტრისპირეთის ომზე, რომელიც რჩება ყველაზე სენსიტიურ და საკამათო თემად მოლდოვის საზოგადოებაში და ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ განხილული სკოლებში. როგორც ამ პროექტის ნაწილი, მოლდოვისა და დნესტრისპირეთის სკოლებში ხარისხიანი განათლების სასურველი შედეგები მნიშვნელოვანია, მოიცავდეს დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას, განათლებამ კი ისტორიის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს ამ გაყინულ კონფლიქტში მდგრადი მშვიდობის უზრუნველყოფაში. კონფლიქტის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების განხილვით, გაკვეთილის გეგმა აჩვენებს კონფლიქტის გავლენას დნესტრის ორივე მხარეზე და სთხოვს მოსწავლეებს, იმუშაონ საკუთარ კვლევაზე კონფლიქტის შედეგების შესახებ მათ უშუალო გარემოცვაში.

გზამკვლევი ხელმისაწვდომია მის შემქმნელ მასწავლებელთა ეროვნულ ენებზე – სომხურ, ქართულ და რუმინულ, ასევე ინგლისურ ენაზე, რათა მისი გამოყენება შეძლონ უცხოელმა მასწავლებლებმაც. ამ სახელმძღვანელოსა და სხვა საგაკვეთილო მასალაზე წვდომა და უფასო ჩამოტვირთვა შესაძლებელია Confronting Memories-ის ვებგვერდიდან.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი (1988 წლიდან-დღემდე)

წინაპირობა და კონტექსტი

ლუსინე ხარატიანი

არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტი, სომხეთის
მეცნიერებათა ეროვნული
აკადემია, ერევანი,
სომხეთის რესპუბლიკა

მთიანი ყარაბაღის ან არცახის[1] კონფლიქტი ერთ-ერთი ხანგრძლივი და ძალადობრივი კონფლიქტია ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე. წლების განმავლობაში მან ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა სომხეთსა და აზერბაიჯანში და მილიონზე მეტი ადამიანის გადასახლება გამოიწვია – აზერბაიჯანელები ტოვებდნენ სომხეთს, მთიან ყარაბაღსა და მის მიმდებარე რეგიონებს, ხოლო სომხები თავიანთ საცხოვრებელს აზერბაიჯანსა და, ბოლო პერიოდში, მთიან ყარაბაღში. ხშირად ამბობენ, რომ კონფლიქტი 1980-იან წლებში დაიწყო, მაგრამ მის სათავედ მე-20 საუკუნის დასაწყისი შეიძლება მივიჩნიოთ. 1905-1920 წლებში მიმდინარეობდა ეთნიკური შეტაკებები სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა მხარეში, ჯერ ცარისტული პერიოდის განმავლობაში (1905-1907) და შემდეგ სომხეთისა და აზერბაიჯანის პირველი რესპუბლიკების ხანმოკლე არსებობის დროს (1918-1920)[2]. საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ, სამხრეთ კავკასიაში საზღვრები შეიცვალა ერების შესახებ საბჭოთა პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც ასევე ანიჭებდა ავტონომიის სხვადასხვა ხარისხს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს და ქმნიდა ეთნიკურად განსხვავებულ ანკლავებს ეროვნულ რესპუბლიკებში. ამგვარად, 1923 წელს მთიანი ყარაბაღი, სადაც უმრავლესობა სომეხი მოსახლეობაა, გადაეცა აზერბაიჯანს და მიენიჭა „ავტონომიური ოლქის“ სტატუსი აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (AzSSR) შემადგენლობაში. ოლქს მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი (NKAO) ეწოდა. როგორც სსრკ-ის დაშლის პროცესებმა მოგვიანებით დაამტკიცა, ამ საბჭოთა ეროვნების პოლიტიკას კონფლიქტის დიდი პოტენციალი ჰქონდა.[3]

საბჭოთა პერიოდში ოლქის დემოგრაფია შეიცვალა, შემცირდა სომხების და გაიზარდა აზერბაიჯანელების რაოდენობა. ასევე, სომხებმა განაცხადეს აზერბაიჯანის ხელისუფლების მხრიდან მათი დისკრიმინაციის შესახებ (New York Times, 1977). ამგვარად, მთიანი ყარაბაღის სომხებმა აღიქვეს პერესტროიკა, როგორც შესაძლებლობა ლეგალურად გამოეხატათ სურვილი, გაერთიანებულიყვნენ სომხეთის სსრ-სთან 1988 წლის დასაწყისში. ამავდროულად, სომხეთის სსრ-ში დაიწყო ფართოდ გავრცელებული „ყარაბაღის მოძრაობა“ ყარაბაღის სომხების მხარდასაჭერად. ეს მოძრაობა ასევე მოითხოვდა მთიანი ყარაბაღის სომხეთთან გაერთიანებას.

ამ მოვლენების საპასუხოდ, 1988 წლის 27-29 თებერვალს, აზერბაიჯანის ქალაქ სუმგაიტში სომხების ორგანიზებული პოგრომები მოეწყო. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ სუმგაიტის

1
არცახი არის დიდი სომხეთის მე-10 პროვინციის ისტორიული სახელი, უძველესი სახელმწიფო სომხეთის მთიანეთში. ისტორიულად, არცახი მოიცავდა მთიანი ყარაბაღის ტერიტორიას და ამ ტერმინს, ამჟამად, სომხები ფართოდ იყენებენ მთიანი ყარაბაღის აღსანიშნავად. 2017 წლის თებერვალში, დე ფაქტო მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას სომხური მოსახლეობის მიერ მიღებული ახალი კონსტიტუციით, ოფიციალურად ეწოდა „არცახის რესპუბლიკა“.

2
ეს შეტაკებები, ძირითადად, ცნობილია როგორც სომხურ-თათრული შეტაკებები ან ხოცვა-ჟლეტა, რადგან ეთნონიმი „აზერბაიჯანელი“ პირველად შემოიღეს სსრკ-ის 1939 წლის აღწერის დროს. მანამდე, წყაროები და ლიტერატურა, ისევე როგორც აღწერები, სამხრეთ კავკასიის თურქულენოვან მუსლიმებს მოიხსენიებდნენ სხვადასხვა ტერმინით: „მუსლიმები“, „თურქები“ და „კავკასიელი თათრები“.

3
შემდგომი მაგალითები მოიცავს არა მხოლოდ ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებს, არამედ დნესტრისპირეთისაც.

პოგრომებმა გააცოცხლა 1915 წლის სომხების გენოციდის შესახებ მოგონებები (აბრაჰამიანი, 2006; მარუთიანი, 2009).[4] ამტკიცებენ, რომ ეს მოგონებები დაეხმარა სომხებს საბჭოთა აწმყოს პარადიგმებს მიღმა აზროვნებასა და საბჭოთა პროპაგანდის გავლენისგან თავის დაღწევაში და გახდა სომხეთის დამოუკიდებლობისკენ მიმავალი რევოლუციური გარდაქმნების საფუძველი (Marutyan, 2009). ამგვარად, მთიანი ყარაბაღისა და სომეხთა გენოციდის საკითხები მჭიდროდ იყო დაკავშირებული და, შემდგომში, სომხური ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის ქვაკუთხედად იქცა.[5] ამავე დროს, მთიანი ყარაბაღი იყო განმსაზღვრელი მახასიათებელი აზერბაიჯანული ერის მშენებლობისთვის, რადგან საბჭოთა აზერბაიჯანის ტერიტორიულ მთლიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა დამოუკიდებელი აზერბაიჯანის რესპუბლიკისთვის.

ამგვარად, განვითარდა პირველი თანამედროვე მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი, რომელიც, საბოლოოდ, ორმხრივ სამხედრო კონფლიქტად იქცა სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის. საბჭოთა კავშირის დაშლა უკვე დაწყებული იყო. აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა 1991 წლის 30 აგვისტოს. ამის საპასუხოდ, მთიანი ყარაბაღის სომხებმა 2 სექტემბერს მიიღეს დეკლარაცია მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის (NKR) დაარსების შესახებ. სიტუაცია სწრაფად გადაიზარდა ფართომასშტაბიან ომში. აზერბაიჯანის შეიარაღებულმა ძალებმა მთიანი ყარაბაღის სომხური დასახლებების თითქმის უწყვეტი დაბომბვა დაიწყეს, ხოლო რეგიონის სომხებმა სომხეთისა და სომხური დიასპორის მოხალისეებთან ერთად დაიწყეს შეიარაღება და თავდაცვითი ჯგუფების შექმნა. ყარაბაღის პირველი ომის ერთ-ერთ ტრაგიკულ მოვლენად ითვლება ხოჯალის/ხოჯალუს ხოცვა-ჟლეტა 1992 წლის თებერვალში, სადაც ასობით აზერბაიჯანელი მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტეს, ტყვედ აიყვანეს ან ლტოლვილი გახადეს (De Waal, 2013). შურისძიება, სომეხი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა იმავე წლის აპრილში, სოფელ მარაღაში მოხდა.

ომი გაგრძელდა ორი წელი, 1992 წლიდან 1994 წლამდე და დასრულდა 1994 წლის მაისში რუსეთის შუამავლობით დადებული მყიფე ზავით. ყოფილი NKAO, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე თავის შვიდ მიმდებარე ოლქთან ერთად, სომხური ძალების კონტროლის ქვეშ მოექცა.

შეიქმნა დე-ფაქტო სომხური სახელმწიფო შეიქმნა. არაღიარებულ მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას მოგვიანებით დაერქვა არცახის რესპუბლიკა, რომლის დედაქალაქი იყო სტეფანაკერტი, გააჩნდა ეროვნული სიმბოლოები, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოები, ისევე როგორც ჯარი.

ცეცხლის შეწყვეტა ოფიციალურად ძალაში იყო 2020 წლის სექტემბრამდე, თუმცა მთელი ამ წლების განმავლობაში დროდადრო ახლდებოდა შეტაკებები და ირღვეოდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ყარაბაღის შეხების ხაზის გასწვრივ, განსაკუთრებით სომხეთ-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე, მიუხედავად იმისა, რომ ეუთოს მინსკის ჯგუფის მოქმედების ფარგლებში მიმდინარეობდა სამშვიდობო პროცესი, რომლის თანათავმჯდომარეებიც საფრანგეთი, რუსეთის ფედერაცია და შეერთებული შტატები იყვნენ. ამ პერიოდში

4
1915 წლის სომხების გენოციდი ოსმალეთის თურქეთში და მისი ხსოვნა სომხების კოლექტიური ტრავმის მთავარი წყაროა. იმის გამო, რომ ეს არასოდეს ყოფილა აღიარებული თურქეთის მხრიდან, სომხები მუდმივად გრძნობენ იმავე საფრთხეს. ყარაბაღის საკითხი მჭიდროდ იყო დაკავშირებული გენოციდთან: სომხურ აღქმასა და ნარატივში აზერბაიჯანელები თურქებს ენათესავებიან და მათ ხალხურ სომხურად „თურქებსაც“ უწოდებენ. უფრო მეტიც, ამჟამინდელი აზერბაიჯანული სახელმწიფო თურქეთის მოკავშირეა და სომხების ხოცვა-ჟლეტა მოხდა ბაქოში 1918 წელს და შუშაში, ყარაბაღში, 1920 წელს. ამგვარად, სომხები ერთობლივად მიიჩნევენ, რომ თურქეთსაც და აზერბაიჯანსაც სურთ, მათ ორ შორის - ორ თურქ ერს შორის არ იყოს სომხეთი ან იყვნენ სომხები.

5
სომხეთის დამოუკიდებლობის 1990 წლის 23 აგვისტოს მიღებული დეკლარაცია გამოხატავს სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ხალხის ერთიან ნებას, რომლითაც დაარსდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ორივე ჯგუფის სახელით. მას აქვს სპეციალური დებულება, რომელშიც ნათქვამია, რომ „სომხეთის რესპუბლიკა მხარს უჭერს 1915 წლის გენოციდის საერთაშორისო აღიარებას ოსმალეთის თურქეთსა და დასავლეთ სომხეთში“.

თვითგამოცხადებული მთიანი ყარაბაღის (არცახის) რესპუბლიკა და მიმდებარე რაიონები მთიანი ყარაბაღის პირველი ომის შემდეგ.

ავტორი: Evan Centanni, Political Geography Now, CC BY-SA 3.0, https://www.polgeonow.com/2018/01/artsakh-name-change-nagorno-karabakh.html, წვდომა 2024 წლის 14 თებერვალს.

ყველაზე ინტენსიური ბრძოლა 2016 წლის აპრილში მოხდა და ოთხი დღე გაგრძელდა, რასაც ორივე მხარეს ასობით მსხვერპლი მოჰყვა.

რეგიონი, 2020 წლის 27 სექტემბერს აზერბაიჯანის თავდასხმის შედეგად, კიდევ ერთხელ ჩაება ომში. ეს იყო მთიანი ყარაბაღის მეორე ომი, რომელიც გაგრძელდა 44 დღე და დასრულდა 9 ნოემბერს, რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებით და სომხეთის პრემიერ-მინისტრის, აზერბაიჯანისა და რუსეთის პრეზიდენტების სამმხრივი განცხადებით. ცეცხლის შეწყვეტის პირობების თანახმად, აზერბაიჯანმა დაიბრუნა კონტროლი მთიანი ყარაბაღის გარშემო არსებულ შვიდ რაიონზე, ისევე როგორც თავად მთიანი ყარაბაღის მნიშვნელოვან ნაწილზე. განცხადების თანახმად, რუსეთის სამშვიდობო ძალები განლაგდნენ დე ფაქტო არცახის რესპუბლიკაში, რათა დაეცვათ მისი მშვიდობიანი სომეხი მოსახლეობა და ლაჩინის დერეფანი, ერთადერთი მარშრუტი, რომელიც აკავშირებს რესპუბლიკას სომხეთსა და დანარჩენ მსოფლიოსთან. 9 ნოემბრის განცხადებაში ნათქვამია, რომ სამშვიდობოები არცახში ხუთი წლის განმავლობაში დარჩებოდნენ. თუმცა, 2022 წლის 12 დეკემბერს აზერბაიჯანის მთავრობამ გარემოსდაცვითი პროტესტის საფარქვეშ/საბაბით დაიწყო ლაჩინის დერეფნის ბლოკადა. ბლოკადის პერიოდში გაკეთდა არაერთი განცხადება სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან შესაძლო გენოციდის შესახებ გაფრთხილებაზე (გენოციდის მკვლევართა საერთაშორისო ასოციაცია, 2022; ლემკინის ინსტიტუტი, 2023).

არცახი დარჩა ალყაში ცხრა თვის განმავლობაში, 2023 წლის 19 სექტემბრამდე, როცა აზერბაიჯანის ძალებმა მის დარჩენილ ტერიტორიაზე მიიტანეს შეტევა, რომელიც გამოცხადდა როგორც „ანტიტერორისტული ოპერაცია“. ოპერაცია 24 საათს გაგრძელდა და

სომხური თავდაცვის ძალების სრული კაპიტულაცია მოჰყვა. ხუთი დღის შემდეგ ბაქომ ლაჩინის დერეფანი გახსნა, რითაც გადარჩენილ სომხებს სომხეთში გაქცევის საშუალება მისცა. შედეგად, 100,000-ზე მეტი - ანუ იმ დროისთვის არცახის თითქმის მთელი სომეხი მოსახლეობა - იძულებით გადაასახლეს საკუთარი სახლებიდან და დღემდე ასე რჩება.

უნდა აღინიშნოს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი განმსაზღვრელი მთავარი ნარატივია როგორც სომხეთის, ისე აზერბაიჯანისთვის. ის ეხება სომხეთის ცხოვრების ყველა ასპექტს, საერთაშორისო ურთიერთობებს, სტრატეგიულ ალიანსებს, უსაფრთხოებასა და მილიტარიზაციას, ძირითად სასაქონლო ფასებს, დემოგრაფიას, ეკონომიკასა და სოციალურ კეთილდღეობას, ასევე თითქმის ყველა ოჯახს, რომელმაც ოჯახის წევრები დაკარგა ომებში. ამიტომ, სოციალურ-პოლიტიკური კუთხით უკიდურესად მგრძნობიარე საკითხია და საჭიროებს საგულდაგულოდ შემუშავებულ და კარგად გააზრებულ პედაგოგიურ მიდგომას თემის მულტიპერსპექტიული სწავლებისთვის.

კონფლიქტის დაწყებიდანვე შეწყდა მშვიდობიანი ცხოვრება სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე. 1994 წლის ცეცხლის შეწყვეტის შემდეგაც კი, არასოდეს ყოფილა მშვიდობიანი სასაზღვრო რეგიონები, განსაკუთრებით სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით ტავუშის პროვინციაში. შედარებითი მშვიდობის პერიოდშიც, 1994 წლიდან დღემდე, სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვართან ტავუშში მდებარე სოფლები არასოდეს ითვლებოდა უსაფრთხოდ. სოფლის მოსახლეობა მიწის უმეტესი ნაწილის დამუშავებას ვერ ახერხებდა, იყო პირუტყვის დაზიანების ან საზღვრის გადაკვეთის შემთხვევები, მოსახლეობას სახლებიდან იტაცებდნენ და დროდადრო იყო სროლაც. სომეხი მასწავლებლების მიერ ტავუშის სოფელ მოვსესის მაგალითზე შემუშავებული საგაკვეთილო გეგმა ასახავს, თუ როგორ ცვლის და გავლენას ახდენს ომი კონფლიქტის ზონაში საზღვარზე ცხოვრების ყველა ასპექტზე.

მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანი იქნება კონფლიქტის პერიფერიის გააზრება და არა ცენტრის პერსპექტივიდან, ფოკუსი ადამიანებზე, რომლებიც ცხოვრობენ კონფლიქტით დაზარალებულ ადგილას. ეს მოგვცემს საშუალებას გვქონდეს კონფლიქტის არა მხოლოდ ოფიციალური, ზემოდან ქვევით, პოლიტიკური და იდეოლოგიური პერსპექტივა, არამედ შევხედოთ მას ყველაზე დაუცველთა გადასახედიდანაც. თავის მხრივ, ეს განუვითარებს მოსწავლეებს კრიტიკული აზროვნების უნარს, ასევე მისცემს შესაძლებლობას გამოიყენონ სხვადასხვა წყარო საკითხის ან სიტუაციის უკეთ გასაგებად.

წყაროები

Abrahamian, L. (2006) *Armenian Identity in a Changing World* [სომხური იდენტობა ცვალებად სამყაროში]. Costa Mesa, California: Mazda.

Bakinskiy Rabochiy (1923) 'Collection of Laws and Orders of the Workers' and Peasants' Government of the ASSR for the year 1923' [1923 წლის ასსრ მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონებისა და ბრძანებების კრებული], 9 July, №0151; in Kharatyan, H. (2021) Khojalu *"Genocide" and its Mission in Karabakh Conflict*. Yerevan: Publishing House of the Institute of Archaeology and Ethnography.

De Waal, T. (2013) *Black garden: Armenia and Azerbaijan through peace and war* [შავი ბაღი: სომხეთი და აზერბაიჯანი მშვიდობისა და ომის გზით]. New York: NYU Press.

Deutsche Welle (2023) 'Azerbaijan announces "anti-terrorist" operation in Karabakh' [აზერბაიჯანი ყარაბაღში „ანტიტერორისტულ" ოპერაციას აანონსებს], 19 September, https://www.dw.com/en/azerbaijan-announces-anti-terrorist-operation-in-karabakh/a-66861997, წვდომა 2024 წლის 6 თებერვალს.

International Association of Genocide Scholars (2022) 'Statement on Azerbaijani Aggression Against the Republic of Armenia and the Indigenous Armenians of the South Caucasus' [განცხადება სომხეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ კავკასიის მკვიდრი სომხების წინააღმდეგ აზერბაიჯანული აგრესიის შესახებ], https://genocidescholars.org/wp-content/uploads/2022/10/IAGS-EB-Statement-Armenia-Azerbaijan-Oct-2022_update.pdf, წვდომა 2024 წლის 6 თებერვალს.

Lemkin Institute (2023) 'Risk Factors and Indicators of the Crime of Genocide in the Republic of Artsakh: Applying the UN Framework of Analysis for Atrocity Crimes to the Nagorno-Karabakh Conflict' [გენოციდის დანაშაულის რისკის ფაქტორები და ინდიკატორები არცახის რესპუბლიკაში: მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების შესახებ გაეროს ანალიზის ჩარჩოს გამოყენება], https://www.lemkininstitute.com/_files/ugd/9bc553_2e3babd9d7834d7fbcfa262f88c9fa74.pdf, წვდომა 2024 წლის 6 თებერვალს.

Marutyan, H. (2009) *Iconography of Armenian identity. The Memory of Genocide and the Karabagh Movement*. [სომხური იდენტობის იკონოგრაფია. გენოციდის ხსოვნა და ყარაბაღის მოძრაობა]. Yerevan: Gitutyun Publishing House.

New York Times (1977) 'Armenians Ask Moscow for Help, Charging Azerbaijan With Bias' [სომხები მოსკოვს დახმარებას სთხოვენ და აზერბაიჯანს მიკერძოებაში ადანაშაულებენ], 11 December, https://www.nytimes.com/1977/12/11/archives/armenians-ask-moscow-for-help-charging-azerbaijan-with-bias.html, წვდომა 2024 წლის 6 თებერვალს.

სასწავლო აქტივობა

ცხოვრება სასაზღვრო სოფელში: შემთხვევის ანალიზი

ავტორები	ლილიტ მინასიანი, აიბის სკოლა, ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა ნინა ჰაირაპეტიანი, აიბის სკოლა, ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა ანი ტოვმასიანი, აიბის სკოლა, ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა მერი მარტიროსიანი, კაპანის მე-3 საშუალო სკოლა, სომხეთის რესპუბლიკა ნაირა ერქანიანი, ჰამბარძუმ გალსტიანის სახელობის სკოლა No. 83, ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა ჰაიკანუშ ღევონდიანი, ალექსანდრ ბლოკის სახელობის საბაზო სკოლა No. 122, ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა

ასაკი	15 (მე-9 კლასი)
მთავარი შეკითხვა	როგორ იმოქმედა ომმა ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე საზღვრისპირა სოფელ მოვსესში?

საზღვრისპირა სოფელში ცხოვრება ყოველთვის ძლიერ განსხვავდება საზღვრიდან მოშორებულ ქალაქში ცხოვრებისგან და ეს განსხვავებები ბევრად უფრო თვალსაჩინო ხდება ომის დროს. სწორედ აქ მცხოვრები ხალხი, პირველ რიგში, შეიგრძნობს ომის სისასტიკეს და უწევს გამკლავება სამხედრო ძალადობასა და სახიფათო ატმოსფეროსთან საკუთარ საცხოვრებელ არეალში. ომის პერიოდის სისასტიკე და არასტაბილურობა გავლენას ახდენს ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და ცხოვრების ყველა სფეროზე, მათ შორის დემოგრაფიაზე, ეკონომიკაზე, განათლებასა და ცხოვრების ზოგად წესზე.

მთიანი ყარაბაღი საბჭოთა ხელისუფლებამ აზერბაიჯანს 1923 წელს მიაკუთვნა და 1991 წლამდე აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის (აზსსრ) შემადგენლობაში ავტონომიური რეგიონის სტატუსით შედიოდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი მეოცე საუკუნის პირველ წლებში კონფლიქტის კერა იყო, თანამედროვე მთიანი ყარაბაღის (არცახის) კონფლიქტი შეიძლება ითქვას, რომ 1988 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლამდე მცირე

ხნით ადრე დაიწყო. მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა მოითხოვდა რეგიონის სომხეთის სსრ-ის შემადგენლობაში შესვლას და ამ მიზნის მისაღწევად ლეგალური, კონსტიტუციური ნაბიჯების გადადგმას[1]. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 1989 წლის აღწერის მიხედვით, მთიანი ყარაბაღის მოსახლეობის 77% ეთნიკურად სომეხი და 21% აზერბაიჯანელი იყო, სომხების სურვილები უარყვეს როგორც საბჭოთა კავშირმა, ისე აზერბაიჯანმა; ამ უკანასკნელმა ომი წამოიწყო მთიანი ყარაბაღის წინააღმდეგ 1991 წელს და, ამავე დროს, შეუტია სხვა სომხურ რეგიონებსაც. იმავე წელს გამოცხადდა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკა. სომხურმა მხარემ მოიგო პირველი ომი, ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას 1994 წელს. თუმცა, სამშვიდობო ხელშეკრულება არასოდეს გაფორმებულა და სამხედრო მოქმედებები გაგრძელდა მომდევნო წლების განმავლობაშიც. 2016, 2020 და 2023 წლების ესკალაციებმა მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკასა და სომხეთის მოსაზღვრე სოფლებში მოსახლეობის ცხოვრება აუტანელი გახადა. 2023 წლის სექტემბერში ბოლო ესკალაციის შემდეგ, მძიმე დანაკარგების გამო, მთიანი ყარაბაღი იძულებული გახდა დათანხმებოდა აზერბაიჯანის მმართველობას.

გაკვეთილის მიმდინარეობისას, მოსწავლეები გააანალიზებენ პირველად და მეორეულ წყაროებს, იმუშავებენ ჯგუფურად, რომელთაგან თითოეული ყურადღებას გაამახვილებს ცხოვრების რომელიმე სფეროზე და მოიცავენ კონფლიქტის გარკვეულ პერიოდს. მოსწავლეები ასევე შეაფასებენ ომის გავლენას სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფზე: ბავშვებზე, ახალგაზრდებზე, მოზარდებსა ან ხანდაზმულებზე. „მსოფლიო კაფის“ აქტივობების საშუალებით, სტუდენტები გააკეთებენ კომენტარს ერთმანეთის ნამუშევრებზე და შესთავაზებენ წინადადებებს მათი გაუმჯობესებისთვის. რჩევაა მასწავლებლებისთვის, მოსწავლეებს წარუდგინონ და განუმარტონ შეფასების კრიტერიუმები, რათა მიიღონ კონსტრუქციული კრიტიკა სხვა ჯგუფებისგან. საშინაო დავალება იქნება არგუმენტირებული/დასაბუთებული ნარკვევი ომის დროს საზღვრისპირა სოფლის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე, მათი არჩეული ერთი ასაკობრივი ჯგუფის პერსპექტივიდან. გაკვეთილი წარმოადგენს სომხეთის ტავუშის პროვინციის სოფელ მოვსესის შემთხვევის ანალიზს.

1
მთიანი ყარაბაღის სახალხო დეპუტატთა საბჭომ მხარი დაუჭირა რეგიონის სომხეთთან გაერთიანებას და ჩატარდა რეფერენდუმი (რეფერენდუმს ბოიკოტი გამოუცხადა მთიანი ყარაბაღის აზერბაიჯანულმა მოსახლეობამ), რომელშიც მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სომხეთთან გაერთიანებას.

სწავლების შედეგები

სტუდენტები შეძლებენ:

- → განიხილონ და შეადარონ პირველადი წყაროები და მათზე დაყრდნობით აღმოაჩინონ და აღწერონ კონფლიქტის სასაზღვრო ზონაში მცხოვრები ადამიანების ცხოვრებაში მომხდარი ძირითადი ცვლილებები.
- → ახსნან ომის გავლენა უშუალო მონაწილეების თვალსაზრისით, რითაც განივითარებენ მათ მიმართ თანაგრძნობას.
- → შეაფასონ კონფლიქტების გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე და ჩამოაყალიბონ საკუთარი მოსაზრებები.

პედაგოგიური რეკომენდაციები

ეფექტიანი გაკვეთილისთვის მოსწავლეები უნდა გაეცნონ სომხურ-აზერბაიჯანულ კონფლიქტს და 1988 წლიდან 2023 წლამდე პერიოდის ზოგად მოვლენებს. კონფლიქტების არსებითი საფუძვლების გაცნობის უზრუნველსაყოფად, გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს გადასცემს მოკლე შესავალ ტექსტს, რომელშიც აღწერილი იქნება 1988 წლიდან 2023 წლამდე მოვლენები.

გაკვეთილი წარმოადგენს სომხეთის საზღვრისპირა სოფლის ცხოვრების შემთხვევის ანალიზს. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს მოუწევს გამოიყენოს სხვადასხვა პირველადი და მეორეული წყარო, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლეების კრიტიკულ აზროვნებას და წაახალისოს მიუკერძოებელი და კარგად დასაბუთებული დასკვნები.

კარგად ორგანიზებული ჯგუფური სამუშაოსა და წარმატებული თანამშრომლობისთვის მასწავლებლებს ურჩევენ გაკვეთილის დასაწყისში ჩამოაყალიბონ დაბალანსებული ჯგუფები, თითოეული მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით.

II ეტაპის შემდეგ (დისკუსია, ანალიზი და მასალების მომზადება), მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ კომენტარები სხვა ჯგუფების თანატოლების ნამუშევრებზე (III ეტაპი). „მსოფლიო კაფე“ არის ტექნიკა, რომელიც მკაფიოდ უნდა განემარტოს სტუდენტებს ქაოსის თავიდან ასაცილებლად. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა სამუშაო შესრულდეს განსაზღვრულ დროში, მასწავლებლებს ურჩევენ გამოიყენონ მარტივი ტაიმერები (ხელმისაწვდომია ონლაინ).

იმისთვის, რომ თანატოლთა შეფასების აქტივობა წარმატებული იყოს, მასწავლებელმა ჯგუფური მუშაობის დაწყებამდე უნდა წარადგინოს წარმატების კრიტერიუმები, რათა მოსწავლეებმა მოთხოვნები გააცნობიერონ. თანატოლების შეფასების კრიტერიუმებისთვის იხილეთ დანართი II; თანატოლთა შეფასება III ეტაპის ნაწილია.

მასწავლებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, მოაწყონ საკლასო დისკუსია (IV ეტაპი) თანაბარი მონაწილეობის სულისკვეთებით და უზრუნველყონ, რომ თითოეულ მოსწავლეს ჰქონდეს სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა.

აქტივობები

ეტაპი I

მისალმება/მომზადება 5 წუთი

ეტაპი II

ჯგუფური სამუშაო 40 წუთი

მოსწავლეები იყოფიან 4 ჯგუფად ცხოვრების სფეროს მიხედვით, რომელსაც ისინი გააანალიზებენ:

- დემოგრაფია
- ეკონომიკა
- განათლება
- ცხოვრების წესი

ყველა ჯგუფს ეძლევა მოკლე საინფორმაციო სტატია კონფლიქტის შესახებ. მისი შესწავლის შემდეგ ჯგუფები იწყებენ მუშაობას ძირითად წყაროებზე. ჯგუფებს ეძლევათ შერჩეული წყაროები (დანართი I), რომლებიც შეეხება სომხეთის დამოუკიდებლობის სამივე ათწლეულს და აქტიური კონფლიქტის მიმდინარეობას (1991-2023). წყაროები შეიცავს ინფორმაციას სოფელ მოვსესის დემოგრაფიის, ეკონომიკის, განათლებისა და ცხოვრების წესის შესახებ. თითოეული ჯგუფი შეისწავლის ყველა მოცემულ წყაროს. ისინი გააკეთებენ დასკვნებს სოფლის ცხოვრების ცვლილებების შესახებ ამ პერიოდში და მათ დაიტანენ თავიანთ პოსტერებზე.

III ეტაპი

„მსოფლიო კაფე“ 25 წუთი

გაიმართება „მსოფლიო კაფის“ აქტივობა. ყველა პოსტერი კედელზეა დაკიდებული და მოსწავლეთა ჯგუფებს ევალებათ, გაისეირნონ საკლასო ოთახში, დააკვირდნენ თითოეულ პოსტერს 5 წუთის განმავლობაში, გაეცნონ მის შინაარსს და დაწერონ საკუთარი მოსაზრებები წებოვან ფურცლებზე. ისინი გამოიყენებენ თანატოლთა შეფასების კრიტერიუმებს (დანართი II). წინადადებები, ისევე როგორც კითხვები, შეიძლება იყოს თემის გარშემო, ასევე მოსაზრებები, რომელთა გაჟღერებასაც მოსწავლეები საჭიროდ მიიჩნევენ.

თითოეული პოსტერის დასრულების შემდეგ, მოსწავლეები გადაინაცვლებენ მომდევნოზე.

ჯგუფები 20 წუთს დაუთმობენ სხვა ჯგუფების პოსტერების გაცნობას, შემდეგ კი მიეცემათ კიდევ ხუთი წუთი, რათა სწრაფად გააუმჯობესონ საკუთარი პოსტერები თანატოლების რჩევების საფუძველზე.

საკლასო დისკუსია 20 წუთი

საკლასო დისკუსია მიმდინარეობს მთავარი შეკითხვის ირგვლივ. რადგან უკვე გაეცნენ ცხოვრების თითოეულ სფეროში მომხდარ ცვლილებებს, მოსწავლეები განიხილავენ სოფელ მოვსესში მომხდარ ძირეულ ცვლილებებს მთელი პერიოდის განმავლობაში, რითაც უპასუხებენ მთავარ კითხვას.

შეფასება

როგორც ზემოთ აღინიშნა, გაკვეთილზე გამოყენებული იქნება თანატოლების შეფასება. მოსწავლეებს მიეცემათ კრიტერიუმები (იხ. დანართი II) სხვა ჯგუფების მუშაობის შესაფასებლად და კონსტრუქციული წინადადებების მოსამზადებლად.

საშინაო დავალება

საშინაო დავალება იქნება დასაბუთებული ნარკვევი, რომელიც უპასუხებს მთავარ კითხვას (იხ. ზემოთ) მათი არჩეული ადამიანების ჯგუფის პერსპექტივიდან: ბავშვები, ახალგაზრდები, მოზარდები ან ხანდაზმული ადამიანები.

ლექსიკონი

ავტონომიური რეგიონი – ქვეყნის ტერიტორია, რომელსაც გარკვეული დოზით გააჩნია ავტონომია ან თავისუფლება ხელისუფლებისგან, მაგ.: მთიანი ყარაბაღი საბჭოთა აზერბაიჯანში.

აიგეპარი – სასაზღვრო სოფელი სომხეთში, სოფელ მოვსესის მეზობლად.

ბერდი – ურბანული ტიპის მუნიციპალური თემი ჩრდილო-აღმოსავლეთ სომხეთში, სადაც მდებარეობს სოფელი მოვსესი.

დოსტი (სომხ.) – ადამიანი, რომელიც ახლობელია და ერთგულია სხვის მიმართ; მონათესავე პირი ან ერი.

სისტემა პაროსი – გაჭირვებულთა სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის სისტემა სომხეთის რესპუბლიკაში.

წყაროები

ჯგუფი 1 დემოგრაფია

წყარო ა

შამშადინის (ამჟამად ბერდის) რაიონის მოსახლეობა მოვსესის ჩათვლით, 1989 წ

სომხები	32,820	99.5%
რუსები	66	0.2%
აზერბაიჯანელები	55	0.2%
უკრაინელები	13	0.1%
იეზიდები	10	0.1%
სხვა	21	0.1%
სულ	32,985	100%

წყარო: „სსრკ-ის 1989 წლის აღწერა“, *სტატისტიკის ეროვნული კომიტეტი*, ერევანი.

წყარო ბ

არარატ ავალიანი, მოვსესის გამგებელი, საუბრობს სოფლის მაცხოვრებლებზე, 2014 წლის 19 მაისი

2014 წლისთვის ხანგრძლივმა კონფლიქტებმა ბევრი ახალგაზრდა მოაშორა მოვსესს, რის გამოც სოფლის მოსახლეობის ნახევარზე მეტი პენსიონერი იყო. 2014 წლის მაისში მოვსესის სოფლის გამგებელმა ისაუბრა არსებულ ვითარებაზე, გამოთქვა ვარაუდი, დაბრუნდებიან თუ არა ახალგაზრდები და ვინ შეიძლება უზრუნველყოს ადგილობრივი თემების განვითარება დაბრუნების წახალისებისთვის.

„არ ვიცი, წასული ხალხი დაბრუნდება თუ არა. რა პირობები უნდა შევქმნათ წასულების დასაბრუნებლად? თუ მშვიდობა დამყარდა, იქნებ სახელმწიფომ სამხედრო ხარჯები თემების განვითარებისთვის გამოიყენოს? დღეს ხალხი მოთხოვნებს უყენებს ხელისუფლებას, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ქვეყანა ომშია. მართლაც, სამხედრო ხარჯები მაღალია. ისინი გრძნობენ, რომ მხოლოდ ერთ შემთხვევაში იქნებიან ბედნიერი – როცა ჩვენი ხალხი სამაგიეროს გადაუხდის აზერბაიჯანელებს. მშვიდობის დამყარების შემდეგ, ზოგი ბრუნდება სახლის, დაბადების ადგილის, სამშობლოს, ქვეყნის სიყვარულით, რომ იქ იყვნენ მშობლების გვერდით.”

წყარო: Hakobyan, T. (2014) *‘The Village of Movses in the Enemy’s Palm’* [სოფელი მოვსესი მტრის ხელში], Civilnet News Agency, 19 მაისი, http://tinyurl.com/488d9z5v, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს

წყარო გ

მოვსესის დემოგრაფია, 2016 წ

ქალი	1022
კაცი	883
მათ შორის:	
პენსიონერები	685
სკოლის მოსწავლეები	125
0–6 წლის ბავშვები	62
ობლები	8
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები	6
დიდი სამამულო ომის ვეტერანები (მეორე მსოფლიო ომი)	5

სოფელში ცხოვრობს 928 კომლი, აქედან 52 პაროსის სისტემაში შედის.

წყარო: Mikayelyan, H. (2017) *Societal Perceptions of the Conflict in Armenia and Nagorno-Karabakh* [კონფლიქტის სოციალური აღქმა სომხეთსა და მთიან ყარაბაღში], Caucasus Institute: Yerevan.

წყარო დ

‘მოვსესის სკოლას წელს 122 მოსწავლე ეყოლება, ერთ დროს 1200 ჰყავდა’, 2016 წლის 25 აგვისტო.

„1 სექტემბერს საზღვრისპირა სოფელ მოვსესის სკოლაში 122 მოსწავლე წავა. ორი წლის წინ ამ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 160-ზე მეტი იყო. 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში ამ სკოლაში 1200 მოსწავლე სწავლობდა. ბოლო 40-45 წლის განმავლობაში მოვსესის სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა ათჯერ შემცირდა.”

წყარო: Hakobyan, T. (2016) ‘The school of the village Movses will have 122 students this year, once it had 1200’ [მოვსესის სკოლას წელს 122 მოსწავლე ეყოლება, ერთ დროს 1200 ჰყავდა], *Civilnet News Agency*, 25 August, http://tinyurl.com/mr45yk77 წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო ე

ბერდის რაიონის მოსახლეობა 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

ეროვნება	სომეხი
რეგისტრირებული დაბადების რაოდენობა	2,953
გარდაცვლილთა რაოდენობა	2,084
კომლების რაოდენობა	40,057
პენსიონერების რაოდენობა	4,958

წყარო: Berdcity.am (2023) ‘ID of The Berd Community of Tavush Region of The Republic of Armenia’, [სომხეთის რესპუბლიკის ტავუშის ოლქის ბერდის თემის საიდენტიფიკაციო მონაცემები] https://www.berdcity.am/Pages/CustomPage/?CustomPageID=722b890c-cc0b-4c5d-bdf2-30fbebab4291, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო ვ

‘რაზე ოცნებობენ საზღვრისპირა სოფლების ბავშვები’, 17 წლის გოგონა მოვსესიდან, 2015 წლის 19 ივლისი

წყარო: Hakobyan, A. (2015) ‘What Children in Border Villages Dream About’ [რაზე ოცნებობენ საზღვრისპირა სოფლების ბავშვები], *BlogNews News Agency*, https://blognews.am/arm/news/287709/?fb_comment_id=863533820404460_865707523520423 , 19 ივლისი, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

„1 სექტემბერს საზღვრისპირა სოფელ მოვსესის სკოლაში 122 მოსწავლე წავა. ორი წლის წინ ამ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 160-ზე მეტი იყო. 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში ამ სკოლაში 1200 მოსწავლე სწავლობდა. ბოლო 40-45 წლის განმავლობაში მოვსესის სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა ათჯერ შემცირდა.”

წყარო ზ

40 წლის ქალბატონი მოვსესიდან, ტავუშის რეგიონი, სომხეთი

წყარო: Mikayelyan, H. (2017) *Societal Perceptions of the Conflict in Armenia and Nagorno-Karabakh [სომხეთსა და მთიან ყარაბაღში კონფლიქტის სოციალური აღქმა]*, Caucasus Institute: Yerevan. p.6

„არ არის მართალი, როცა ამბობენ, რომ ჩვენი შვილები დაბომბვის გამო ნერვიულობენ. საბავშვო ბაღი გარემონტდა და ახლა შიგნით სროლის ხმა აღარ ისმის. თუ ბავშვები გარეთ არიან და სროლის ხმა ესმით, შიგნით შედიან. საბავშვო ბაღის წინ დამატებითი კედელი შენდება ტყვიებისგან დასაცავად. ჩვენი შვილები კარგად არიან, ბედნიერები და კარგადაც იკვებებიან. სომხური ფონდი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღს კვებით, ავეჯითა და ყველაფრით, რაც გვჭირდება.”

დავალება

გააანალიზეთ მოცემული წყაროები და მოამზადეთ პოსტერი, რომელიც უპასუხებს შემდეგ კითხვებს.

1 რა ცვლილებები აისახა მოვსესის დემოგრაფიულ სურათზე 1989-2022 წლებში? ყურადღება მიაქციეთ შემდეგ სფეროებს:

ა მოსახლეობის რაოდენობა

ბ სქესი და ასაკობრივი შემადგენლობა

გ დაბადებისა და სიკვდილის თანაფარდობა

დ ეთნიკურობა

2 წყაროებისა და კონფლიქტის შესახებ თქვენი ცოდნის გათვალისწინებით, რა ფაქტორებმა მოახდინა გავლენა მოვსესის დემოგრაფიული სურათის ცვლილებაზე?

ჯგუფი 2 ეკონომიკა

წყარო ა

60 წლის მამაკაცი, მოვსესი, ტავუშის პროვინცია, სომხეთი

„სოფელში სამუშაო ადგილები არ არის საკმარისი. კვდება სოფელი, ხალხი მიდის. გადასახადები გვახრჩობდა. მერე ყოფილი პრემიერი ესტუმრა ჩვენს სოფელს და დაგვპირდა, რომ გაუქმდებოდა. მან პირობა შეასრულა და ახლა ცოტა გაგვიადვილდა. აქ [სასაზღვრო რეგიონში] მცხოვრები [მთავრობის] ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მათ უნდა დააფასონ, რომ ჩვენ აქ ვრჩებით. ქარხნები აღარ არის. საბჭოთა პერიოდში რეგიონში 36 ქარხანა იყო.”

წყარო: Mikayelyan, H. (2017) Societal *Perceptions of the Conflict in Armenia and Nagorno-Karabakh [სომხეთსა და მთიან ყარაბაღში კონფლიქტის სოციალური აღქმა]*, Caucasus Institute: Yerevan. p.6.

წყარო ბ

რა აჩვენა დათვლამ?

„1993 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 1992 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა 3,300-ით შემცირდა. საიდუმლო არ არის, რომ პირუტყვის რაოდენობის ასეთი მკვეთრი შემცირება პრივატიზაციის არასრულყოფილი მექანიზმის პირდაპირი შედეგია, რის გამოც მასობრივად დახოცეს პირუტყვი, რაც კვლავ გრძელდება არა მხოლოდ რეგიონში, არამედ ზოგადად რესპუბლიკაში.”

წყარო: Dokholyan, A. (1993) ‘The Border: A Fighter Does Not Get Weak’ [საზღვარი: მებრძოლი არ სუსტდება], *Aygabatz Newspaper*, N4, https://tert.nla.am/archive/NLA%20TERT/Aygabac/1993/4.pdf, 12 February, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო გ

‘მოვსესის რთული აწმყო და გაურკვეველი მომავალი’, 2008 წლის 28 ოქტომბერი

„სოფელში 540 ჰექტარი სახნავი მიწაა. დაახლოებით, 200 ჰექტარი ნაღმებითაა გარშემორტყმული ან სომხურ და აზერბაიჯანულ პოზიციებს შორის სახიფათო ზონაში მდებარეობს. გლეხებს არ აქვთ საშუალება, ირიგაციის გარეშე, გაჭირვებით მოყვანილი მწირი მოსავალი გაყიდონ. ბერდში მოქმედი ერევნის კონიაკის ქარხნის მიმღებ პუნქტში მხოლოდ ყურძენი ჩადის. საბჭოთა პერიოდში აიგეფარის საკონსერვო ქარხანა სამ ცვლაში მუშაობდა და გლეხებისგან თუთასაც იღებდა. მოვსესის ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში წავიდა, ასევე შემცირდა მეცხოველეობა. მოვსესში 1,000 მსხვილფეხა პირუტყვი იყო, ახლა 300 არის. გლეხებს არ სურთ მეცხოველეობით დაკავდნენ, რადგან ეს არ არის მომგებიანი.”

წყარო: Sargsyan, V. (2008) ‘The Difficult Present and the Unclear Future of Movses’ [მოვსესის რთული აწმყო და გაურკვეველი მომავალი], Hetq News Agency, 28 October, https://hetq.am/hy/article/52512, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო დ

იმ გამოკითხულ კომლთა პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც მოვსესში მეურნეობით არის დაკავებული



წყარო: MPG (Gallup International Association) (2014) 'Analysis and Assessment of Risks Related to Climate Change', [კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკების ანალიზი და შეფასება], p.102.

წყარო ე

'ტექსტილის პროდუქციის წარმოება მოვსესში', 2017 წლის 15 აგვისტო

„სოფელში 1988-1992 წლებში ფუნქციონირებდა მოვსესის საფეიქრო ქარხანა. შენობა სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვრიდან 500 მეტრში, საავადმყოფოს ყოფილ შენობაში მდებარეობდა (საავადმყოფო დაიხურა 1976 წელს), რის გამოც იგი ომის დროს დაზიანდა. ქარხანა აწარმოებდა ბავშვების ტანსაცმელს, რომელიც ექსპორტზე გადიოდა სსრკ-ში. 1992 წელს ქარხანა ძალიან დაზიანდა და დაიხურა. სოფლის მცხოვრებთა უმეტესობა მოვსესის ქარხანაში მუშაობდა; ყოფილი მოვსესელებიც კი დაბრუნდნენ ერევნიდან სოფელში სამუშაოდ."

წყარო: Lurer News Agency (2017) 'Textile Production in Movses' [ტექსტილის პროდუქციის წარმოება მოვსესში], 15 August, http://tinyurl.com/y5w65sdt, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

დავალება

გააანალიზეთ მოცემული წყაროები და მოამზადეთ პოსტერი, რომელიც უპასუხებს შემდეგ კითხვებს.

1 რა მიმართულებებისგან შედგებოდა მოვსესის ეკონომიკა სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის დაწყებამდე და მას შემდეგ?
2 როგორ იმოქმედა კონფლიქტმა მოვსესის ეკონომიკის განვითარებაზე?
3 როგორ ფიქრობთ, რომელ ასაკობრივ ჯგუფზე (ბავშვები, ახალგაზრდები, მოზარდები, ხანდაზმული ადამიანები) მოახდინა ყველაზე მეტად გავლენა მოვსესის ეკონომიკურმა ცვლილებებმა 1988 წლიდან 2017 წლამდე და რატომ?

ჯგუფი 3 განათლება

წყარო ა

‘დაე, მოვიდეს სასურველი მშვიდობა’, 1994 წლის 1 ივლისი

„ბავშვებმა, რომლებმაც მოვსესის საბავშვო ბაღი დაამთავრეს,რამდენიმე დღის წინ გამართეს სპექტაკლი „მშვიდობით საბავშვო ბაღს". საბავშვო ბაღი სოფელშია, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში იყო დაბომბვის სამიზნე და ახლაც არსებობს მტრის თავდასხმის საფრთხე. იმ დღის მოვლენა მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ იმიტომ, რომ ბავშვები ემშვიდობებოდნენ ადრეულ ბავშვობას და გახდნენ სკოლის მოსწავლეები, არამედ იმიტომაც, რომ იმ რთულ დღეებში მათ მიიღეს ცოდნა, რომლითაც შევიდნენ ახალ სამყაროში იარაღის ქუხილის ქვეშ.”

წყარო: Badalyan, A. (1994) ‘Let the Desired Peace Arrive’ [დაე, მოვიდეს სასურველი მშვიდობა], *Aygabatz Newspaper*, https://tert.nla.am/archive/NLA%20TERT/Aygabac/1994/23.pdf, 1 July, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო ბ

‘საზღვრისპირა სოფლების სკოლებიდან ბავშვების გადაჰყავთ’, 2014 წლის 2 სექტემბერი

„ბოლო ხუთი წელია, სოფელში სკოლის ასაკის ბავშვების რაოდენობა მცირდება. ამჟამად, სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 132-ია. სკოლის დირექტორის თქმით, მათ რაოდენობაზე დიდი გავლენა იქონია 90-იანი წლების ემიგრაციამ; სოფელში ახალგაზრდები თითქმის არ არიან დარჩენილები. ოჯახებმა არ დატოვეს სომხეთი, მაგრამ მოვსესიდან რესპუბლიკის სხვა რაიონებში გადავიდნენ

წყარო: Medialab Newsroom-Laboratory (2014) ‘Children Are Being transferred from Schools in Border Villages’[საზღვრისპირა სოფლების სკოლებიდან ბავშვების გადაჰყავთ], 2 September, https://medialab.am/11880/?fbclid=IwAR0q4sYXTEGnUwatoxUSlUJw9Z7za6s94d3T_O7xiSxZysm0Lyp_17XFUf4, წვდომა 2023 წლის 23 ოქტომბერს.

წყარო გ

‘საზღვრისპირა სოფელ მოვსესის სტუდენტები რობოტიკას ისწავლიან’, 2018 წლის 19 დეკემბერი

„სტეპან გიშიანის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით, ტავუშის რაიონის საზღვრისპირა სოფელ მოვსესის მოსწავლეები რობოტების დამზადებასა და სამგანზომილებიან მოდელირებას შეძლებენ. მოვსესში ორი წლის წინ დაარსებულ ლაბორატორიაში „არმატში“ საშუალო სკოლის მოსწავლეებმა პროგრამირება ისწავლეს, რობოტების დამზადება კი ვერ მოახერხეს, რადგან შესაბამისი აპარატურა არ ჰქონდათ. ახლა ისინი ლაბორატორიაში შეძენილ ცოდნასა და უნარებს რობოტების სამართავად გამოიყენებენ.”

წყარო: Armbanks News Agency (2018) ‘Students of the Border Village of Movses will Practise Robotics’ [საზღვრისპირა სოფელ მოვსესის სტუდენტები რობოტიკას ისწავლიან], 19 December, http://www.armbanks.am/hy/2018/12/19/117927/, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო დ

‘სასაზღვრო ზოლში მცხოვრებმა ბავშვმა უნდა მიიღოს კარგი განათლება’, 2017 წელი

„სოფელ მოვსესის სკოლაში ღონისძიების დარბაზი არ არის. სკოლაში ღუმელის ყოფილი ოთახი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დაფინანსებით, ახლახან გარემონტდა და უსაფრთხო ოთახად

გადაკეთდა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასაზღვრო სოფლის სკოლისთვის. თავშესაფარი, რომლის ფართობი 60 კვადრატული მეტრია, გათვლილია 139 ადამიანზე. ტერიტორია მცირეა, მაგრამ დროებით იგეგმება თავშესაფარში სასკოლო ღონისძიებების ორგანიზება. სოფელ მოვსესის სკოლაში ბავშვებს პირველი უნარი, რასაც ბავშვებს ასწავლიან, არის სროლა. შარშან სოფლის ბავშვებმა მისანში სროლის ეროვნულ შეჯიბრში მე-3 ადგილი დაიკავეს, წელს კი მე-4 ადგილზე გავიდნენ."

წყარო: Muradyan, L. (2017) 'A Child Living in the Border Area Must Receive a Good Education' [სასაზღვრო ზოლში მცხოვრებმა ბავშვმა უნდა მიიღოს კარგი განათლება], *Armenian Public Radio*, 29 November, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო ე

40 წლის ქალბატონი მოვსესიდან, ტავუშის რეგიონი, სომხეთი

„არ არის მართალი, როცა ამბობენ, რომ ჩვენი შვილები დაბომბვის გამო ნერვიულობენ. საბავშვო ბაღი გარემონტდა და ახლა შიგნით სროლის ხმა აღარ ისმის. თუ ბავშვები გარეთ არიან და სროლის ხმა ესმით, შიგნით შედიან. საბავშვო ბაღის წინ დამატებითი კედელი შენდება ტყვიებისგან დასაცავად. ჩვენი შვილები კარგად არიან, ბედნიერები და კარგადაც იკვებებიან. სომხური ფონდი უზრუნველყოფს საბავშვო ბაღს კვებით, ავეჯითა და ყველაფრით, რაც გვჭირდება."

წყარო: H. Mikayelyan (2017) *Societal Perceptions of the Conflict in Armenia and Nagorno-Karabakh [სომხეთსა და მთიან ყარაბაღში კონფლიქტის სოციალური აღქმა]*, Caucasus Institute: Yerevan, p.6.

წყარო ვ

მოვსესში სკოლის ფანჯრების ადგილას კედელია აღმართული სროლისა და დაბომბვისგან დასაცავად.

ფოტო: ჯავაჰირ ბადალიანი, სკოლის მოსწავლე მოვსესიდან, 2023 წლის აგვისტო.

დავალება

გააანალიზეთ მოცემული წყაროები და მოამზადეთ პოსტერი, რომელიც უპასუხებს შემდეგ კითხვებს.

1 რა პირობებში იღებენ განათლებას სოფელ მოვსესის ბაღსა და სკოლაში?
2 რა გავლენა იქონია ომმა სოფლის ბავშვების საგანმანათლებლო გარემოზე? როგორ შეიცვალა პრიორიტეტები?
3 განათლების რა პერსპექტივები აქვთ სოფელ მოვსესის ბავშვებს?

ჯგუფი 4 ცხოვრების წესი

წყარო ა

‘საზღვარი: მებრძოლი არ სუსტდება’, 1993 წლის 12 თებერვალი

ომის შეგრძნება ერევნის ავტოსადგურზე აშკარა იყო. ტავუშში ტრანსპორტი არ მიდიოდა. ავტოსადგურის პატარა ოთახში რამდენიმე ადამიანი იყო შეკრებილი. მოვსესიდან ავტობუსით იყვნენ ჩამოსულები და ელოდებოდნენ მის მოსვლას და უკან დაბრუნებას. ‘აჰ, ვის ვჭირდებით ჩვენ? ჩვენი შვილები აქ არიან, ქმრები საზღვარზე, ჩვენ კი უსახლკაროები ვართ გზებზე’, - თქვა ახალგაზრდა ქალმა და ხელი ააფრიალა. ავტობუსი ჩამოვიდა. გეზი იჯევანისკენ ავიღეთ, საიდანაც მთების გავლით ტავუშისკენ ახალი გზა გაიხსნა. გზა იმდენად ვიწრო იყო, რომ 50 კმ. სიგრძის ტყიანი მთის უღელტეხილზე ორი მანქანა ძლივს უვლიდა გვერდს ერთმანეთს. გადატვირთისგან მგრგვინავი სატვირთო მანქანა სხვა მხრიდან მიუახლოვდა. ეს გზა ერთადერთია, რომელიც ტავუშს აკავშირებს რესპუბლიკასთან.

წყარო: Dokholyan, A. (1993) ‘The Border: A Fighter Does Not Get Weak’ [საზღვარი: მებრძოლი არ სუსტდება], N4, https://tert.nla.am/archive/NLA%20TERT/Aygabac/1993/4.pdf, 12 February, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო ბ

‘ყველაფერი კარგად იქნება’, მოვსესის გამგებელი, 2020 წელი

„ცხადია, რომ ღია საზღვრებით გვერდიგვერდ ვერ ვიცხოვრებთ. უნდა არსებობდეს ან მესამე მხარე, როგორიც საბჭოთა პერიოდში რუსეთი იყო, ორივე მხარეზე ზეწოლისთვის, ან სამხედრო ძალები, რომლებიც იცავენ საზღვარს. ერთმანეთს ვეღარ ვენდობით. მართალია, რომ ომამდე აზერბაიჯანელი მეგობრები გვყავდა და მათ ‘დოსტს’ ვუწოდებდით. სომხები და აზერბაიჯანელები ერთმანეთს სახლებში სტუმრობდნენ. ჩვენი სოფლის მაღაზიაში, პირველ რიგში, მეზობელი სოფლის აზერბაიჯანელ ქალებს ემსახურებოდნენ, რადგან მათ გრძელი გზის გავლა უწევდათ. იმის შემდეგ, რაც მათ გააკეთეს და რაც ჩვენ გადავიტანეთ, ჩვენ ვეღარ ვიქნებით მეგობრები.”

წყარო: Poghosyan, G. (2020) ‘All Will Be Well’ [ყველაფერი კარგად იქნება], *Hayzinvor*, http://www.hayzinvor.am/78401.html, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერი.

წყარო გ

‘ყველაფერი კარგად იქნება’, მოვსესის გამგებელი, 2020 წელი

„სოფელ მოვსესში სახლების 20 პროცენტი უკვე ცარიელია. იქ არავინ ცხოვრობს. ახალგაზრდების უმეტესობა გადასახლდა სოფლიდან; ექვსი საათის შემდეგ ქუჩებში ხუთ-ექვს ადამიანს თუ ნახავთ. მოვსესში მყოფი ცოლების ნაწილიც მზადაა დატოვოს ქვეყანა სამუშაოს საპოვნელად, თუ რუსეთი მათ მოქალაქეობას ადვილად მიანიჭებს. მეც მინდა წასვლა. რატომ უნდა დავრჩე? ტყვიის საფრთხის ქვეშ ვერ ვიცხოვრებ. სკოლის მოსწავლეებიც კი, თუ მათ ჰკითხავთ, იტყვიან: ‘როცა სკოლას დავამთავრებ, რუსეთში წავალ’. თუ ჩემი შვილი მიიღებს მოქალაქეობას, მე წავალ და შევუერთდები მას, როგორც კი შევძლებ.”

წყარო: Poghosyan, G. (2020) ‘All Will Be Well’ [ყველაფერი კარგად იქნება], *Hayzinvor*, http://www.hayzinvor.am/78401.html, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერი.

წყარო დ

მოვსესის დღე, 2017 წლის 14 აგვისტო

„2013 წელს მოვსესის სოფლის საკრებულოს გადაწყვეტილებით, აგვისტოს მეორე შაბათი „სოფლის დღედ“ გამოცხადდა. ტავუშის ვიცე-გუბერნატორმა ხაზი გაუსვა ღონისძიების გამართვის მნიშვნელობას საზღვრისპირა სოფელში, სადაც, მტრების სიახლოვის მიუხედავად, ცხოვრობს და მოღვაწეობს ტავუშის გმირი ხალხი. სოფლის დღის აღნიშვნისას მოვსესელები ხაზს უსვამენ სამშობლოსადმი მიჯაჭვულობას. მათ არ დატოვეს სამშობლო, ამავდროულად კი, საზღვარგარეთ მცხოვრები სოფლის ყოფილი მოსახლეობის დახმარებით ცდილობენ სოფლის პრობლემების გადაჭრას.”

წყარო: Mtad.am (2017) ‘Movses Celebrated Village Day’ [მოვსესმა სოფლის დღე აღნიშნა], 14 August, http://tavush.mtad.am/news/item/2017/08/14/movses/, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

წყარო ე

‘ჩაკეტილი კარები და ტყვიის კვალი აქ ყველგანაა’, 2011 წლის 26 ივნისი

„1950-იან წლებში აშენებული სოფლის კულტურის ცენტრი უნიკალური არქიტექტურული ნაგებობაა. ომის დროს და შემდგომ წლებში კულტურის ცენტრში სამხედრო ნაწილი განლაგდა. სულ რამდენიმე წლის წინ სამხედრო ნაწილი მეზობელ სოფელში გადავიდა და მოსახლეობამ კულტურის ცენტრის განახლებაზე დაიწყო ფიქრი. მათ შესაბამის ორგანოებს მიმართეს. გამოიყო 100 მილიონი დრამი (დაახლოებით, €236,000). კულტურის სასახლე საფუძვლიანად განახლდა. ‘ჩვენ ვემზადებით აქ კონცერტების მოსაწყობად. საბოლოოდ, ახალგაზრდებს თავშეყრის ადგილი ექნებათ’, - ამბობს სოფლის გამგებელი.”

წყარო: Badalyan, A. (2011) ‘Locked Doors and Bullet Tracks Are Everywhere Here’ [ჩაკეტილი კარები და ტყვიის კვალი აქ ყველგანაა], *Arevik*, 26 June, http://tinyurl.com/dfaksyfw, წვდომა 2023 წლის 10 ოქტომბერს.

დავალება

გააანალიზეთ მოცემული წყაროები და მოამზადე პოსტერი, რომელიც უპასუხებს შემდეგ კითხვებს.

1. როგორ მოერგო მოვსესის ცხოვრება ომის პირობებს?
2. როგორ შეიცვალა წარმოდგენები მშვიდობიანი ცხოვრების შესახებ ომამდე და ომის შემდეგ (ე.ი., პირველი მთიანი ყარაბაღის ომი)?
3. რა გავლენა იქონია ომმა სოფლის ახალგაზრდების დასაქმებასა და ცხოვრების წესზე?

თანატოლთა შეფასების კრიტერიუმები

კრიტერიუმი	**განსახილველი კითხვები**	**ქულები და კომენტარები**
შინაარსის შესაბამისობა 1-5	→ არის თუ არა პოსტერის შინაარსი თემასა ან მიზანთან შესაბამისობაში? → გადმოსცემს პოსტერი ეფექტურად ძირითად გზავნილს ან ინფორმაციას?	
გზავნილის სიცხადე 1-5	→ ადვილი გასაგებია თუ არა პოსტერის მთავარი გზავნილი ან მიზანი? →გამოიყენება თუ არა ვიზუალი და ტექსტი გზავნილის განსამტკიცებლად? →არის თუ არა გასაგები ენა?	
ორგანიზება და სტრუქტურა 1-5	→ არის თუ არა პოსტერი გამართულად და ლოგიკურად მომზადებული? →გადადის თუ არა მკაფიოდ საკითხებზე?	
კრეატიულობა 1-5	→ ასახავს თუ არა პოსტერი შემოქმედებით აზროვნებას? →არის თუ არა უნიკალური ელემენტები ან იდეები, რომლებიც გამოარჩევს პოსტერს?	
სახელმძღვანელოს მითითებების დაცვა 1-5	→ იცავს თუ არა პოსტერი დავალებით გათვალისწინებულ კონკრეტულ მითითებებსა და მოთხოვნებს?	

სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში (1991-92)

წინაპირობა და კონტექსტი

ანტონ ვაჭარაძე

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო

სახელმწიფო გადატრიალება საქართველოში, რომელიც ასევე ცნობილია როგორც თბილისის ომი ან 1991-1992 წლების პუტჩი, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა საქართველოს სამოქალაქო ომის კონტექსტში. გადატრიალება ჯერ კიდევ იპყრობს ქართველ ისტორიკოსთა და საზოგადოების ყურადღებას, თუმცა ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ცალკე ფუნდამენტურად არ არის ნაკვლევი. საკითხის შესწავლა, ძირითადად, ეყრდნობა ცალკეული ისტორიკოსების, პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ჟურნალისტების და თვითმხილველების მოგონებებს და წარმოადგენს ფრაგმენტულ სურათს იმის შესახებ, რაც მოხდა 1991-92 წლებში საქართველოს დედაქალაქში. კონფლიქტი მიმდინარეობდა თბილისის ცენტრალურ უბანში, დიდწილად ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე, რუსთაველის გამზირზე და შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვან მოვლენად არა მხოლოდ საქართველოს მომავალი განვითარებისთვის, არამედ გეოსტრატეგიული თვალსაზრისითაც, რუსეთსა და დასავლეთს შორის გავლენის სფეროების განაწილების კონტექსტში.

დომინანტური ნარატივის თანახმად, მოვლენა ისტორიამ შემოინახა, როგორც გადატრიალება სამხედრო ინტერვენციის გზით. ალტერნატიული ნარატივი ამბობს, რომ დაპირისპირება და შეიარაღებული კონფლიქტი განვითარდა ხელისუფლების დემოკრატიული გზიდან გადახრისა და ავტორიტარული მმართველობის სტილის დამკვიდრების მცდელობის გამო. ორივე მხარე ხშირად თანხმდება ერთ საკითხზე: 1991-92 წლების მოვლენები იყო არა მხოლოდ სამოქალაქო, არამედ რუსეთ-ქართული კონფრონტაცია; რუსეთის საიდუმლო სამსახურმა მოახერხა ქვეყანაში ქაოსის დათესვა.

რუსეთი ელოდა, რომ საერთაშორისო საზოგადოება მას აღიარებდა, როგორც რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტს. პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა აღიდგინეს, კრემლმა მიანიჭა „ახლო საზღვარგარეთის“ სტატუსი იმის ხაზგასმით, რომ დამოუკიდებელ ქვეყნებს უნდა შეენარჩუნებინათ სიახლოვე და მჭიდრო კავშირები რუსეთთან (Toal, 2016). იმ შემთხვევებში, როდესაც რესპუბლიკები არ მიჰყვებოდნენ რუსეთის მიერ ნაკარნახევ გზას, გამოიყენებოდა გათიშე და იბატონეს ტაქტიკა და ღვივდებოდა ეთნიკური კონფლიქტების პოტენციური კერები. საქართველოს შემთხვევაში, რუსეთმა ერთდროულად აამოქმედა ორი ბერკეტი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.

კონფლიქტის გაჩაღებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვა ფაქტორებმაც: ქვეყნის პოლიტიკური ელიტის მოუმწიფებლობამ; რუსული გავლენის აგენტებმა (მათ შორის უშუალოდ КГБ-მ); საბჭოთა ნომენკლატურამ და ყოფილმა მაღალჩინოსნებმა ქვეყნის შიგნით; სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც წარმოიშვა

სსრკ-ის დაშლის შემდეგ. ქვეყნის პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ გატარებულმა პოლიტიკამ რუსეთის მიერ მხარდაჭერილ სეპარატისტებს კონფლიქტების ესკალაციისთვის ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა. როგორც ისტორიკოსი სტივენ ჯონსი (2013, გვ. 14) წერს: „1991 წელს ქართველებს ჯერ კიდევ ვერ გაერკვიათ, როგორი სახელმწიფო უნდოდათ – ტრადიციული თემი, რომელიც ეთნიკური სოლიდარობისა და ჰარმონიის, ოჯახის ერთგულებისა და ხანგრძლივი ისტორიული არსებობის რომანტიკულ იდეებს დაეყრდნობოდა თუ ჰეტეროგენული და „სეკულარული“ სახელმწიფო, რომელიც აიტანდა შიდა ტერიტორიულ პრეტენზიებს და პლურალისტურ თანამედროვე ევროპასთან ინტეგრაციას. აი, ამ ორ ხედვას შორის არსებული დაძაბულობა ედო საფუძვლად 1991-1993 წლების სამოქალაქო ომს.”

კონფლიქტის წინაპირობები ქვეყანაში 1991 წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მწიფდებოდა. ამ მოვლენას წინ უძღოდა მძიმე პოლიტიკური კრიზისი, რომელიც, დაახლოებით, ექვსი თვის განმავლობაში გაგრძელდა. 31 მარტს ჩატარდა რეფერენდუმი, რომელშიც მოსახლეობამ პასუხი გასცა კითხვას, სურდათ თუ არა დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. 90,3%-იანი საარჩევნო აქტივობის პირობებში, არჩევნებში მონაწილეთა 98,9%-მა კითხვას დადებითად უპასუხა. საბჭოთა კავშირში 1991 წლის აგვისტოს გადატრიალებამდე საქართველოში დაიწყო სხვადასხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტის ჩამოყალიბება, მათ შორის იყო ეროვნული გვარდიაც. ვითარება რუსეთში მომხდარი აგვისტოს გადატრიალების პარალელურად დაიძაბა. საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტმა (ГКЧП) აიძულა პრეზიდენტი გამსახურდია გაეუქმებინა ეროვნული გვარდიის მეთაურის თანამდებობა. გამსახურდია დაემორჩილა მუქარას და მოთხოვნებს, გააუქმა თანამდებობა, ეროვნულ გვარდიას სტატუსი შიდა ჯარის სტატუსით შეუცვალა და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუქვემდებარა. გვარდიის სარდალმა თენგიზ კიტოვანმა უარი თქვა ზვიად გამსახურდიას ბრძანების შესრულებაზე და თბილისის მახლობლად მის ერთგულ სამხედროებთან ერთად განლაგდა; პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ კი თანამდებობა დატოვა. ზვიად გამსახურდიას მოწინააღმდეგე ყოფილი „კანონიერი ქურდი“[1] ჯაბა იოსელიანი ციხიდან გაათავისუფლეს და მოგვიანებით მან შეიარაღებული გასამხედროებული დაჯგუფება „მხედრიონი“ დააარსა. ზემოხსენებული სამეული გაერთიანდა და მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ქვეყანაში ქაოსმა და გაურკვევლობამ დაისადგურა. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთს ადანაშაულებდნენ რუსეთის აგენტობასა და მის ინტერესებში მოქმედებაში (ჩიქოვანი და სხვ., 2022: 123). დღესაც, მრავალი წლის შემდეგ, შეუძლებელია გარკვევა, თუ რას არის ისტორიული „ჭეშმარიტება“ და ამ პერიოდის შესახებ წამოჭრილ ყველა კითხვაზე მკაფიო პასუხის პოვნა.

1991 წლის 8 დეკემბერს გაფორმდა ბელოვეჟას შეთანხმება, რითაც საბჭოთა კავშირმა, ფაქტობრივად, შეწყვიტა არსებობა და მის ნაცვლად გამოცხადდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) შექმნა. 1991 წლის 21 დეკემბერს ყაზახეთში გაიმართა დსთ-ს 11 სახელმწიფოს პირველი სამიტი და ხელი მოეწერა

1 პოსტსაბჭოთა ქვეყნებში "კანონიერი ქურდი" არის პროფესიონალი კრიმინალი, რომელიც სარგებლობს ელიტარული პოზიციით ორგანიზებულ დანაშაულებრივ წრეებში და აქვს ავტორიტეტი დაბალი სტატუსის მქონე წევრებზე. ეს არის მაფიის ბოსის მსგავსი.

ალმა-ათას (ალმათის) პროტოკოლს. ამ დროს, საქართველო მტკიცედ იდგა საკუთარ პოზიციაზე, რომ არ შეუერთდებოდა ორგანიზაციას. ეს პოზიცია კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა რუსეთის მიზნებს, შეენარჩუნებინა საბჭოთა კავშირი ახალი ფორმით. ამ დროს საქართველოში დაძაბულობამ და არეულობამ პიკს მიაღწია.

რამდენიმე წარუმატებელი მოლაპარაკების შემდეგ, 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, რა დროსაც თენგიზ კიტოვანის შენაერთებმა რამდენიმე შენობა დაიკავეს. ბრძოლა გაგრძელდა დაახლოებით 15 დღის განმავლობაში, რის შედეგადაც, 100-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 700 დაიჭრა. შეიარაღებული კონფლიქტი პუტჩისტთა გამარჯვებით დასრულდა, რამაც გამოიწვია პრეზიდენტ გამსახურდიას ქვეყნიდან გაქცევა და მთავრობაზე კონტროლის სამხედრო საბჭოს ხელში გადასვლა. ქალაქის ცენტრში მრავალი შენობა დაიწვა და განადგურდა, მათ შორის პარლამენტი და თბილისის კლასიკური გიმნაზია.

პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივმა დამხობამ მთელი საქართველოს მასშტაბით პოლიტიკური ვითარება დაძაბა და ფართომასშტაბიანი სამოქალაქო კონფლიქტში გადაზარდა. სამხედრო საბჭომ ვერ შეძლო ქვეყანაში წესრიგის დამყარება და 1992 წლის მარტში მოიწვია ედუარდ შევარდნაძე (საბჭოთა კავშირის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი) მოსკოვიდან, რათა მას, საკუთარი დიპლომატიური და პოლიტიკური გამოცდილებითა და კავშირებით როგორც რუსეთთან, ისე დასავლეთთან, ქვეყანა გამოეყვანა ღრმა კრიზისიდან. ამავდროულად, შეუქცევადი პროცესები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სეპარატისტული ძალების მხრიდან უკვე დავიწყებული იყო.

1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ქალაქი სოხუმი დაეცა და რუსეთის მიერ მხარდაჭერილმა აფხაზმა სეპარატისტებმა ომში გამარჯვებაში საბოლოო გარდატეხა შეიტანეს. სამი დღით ადრე სამეგრელოში (აფხაზეთის მოსაზღვრე რეგიონი) დევნილობიდან დაბრუნებულმა გამსახურდიამ მოაწყო აქცია, რომლის შემდეგაც აფხაზეთში შევიდა, მაგრამ მალევე დაბრუნდა სამეგრელოში. მისმა შეიარაღებულმა მომხრეებმა კონტროლი დაამყარეს რამდენიმე მუნიციპალიტეტზე, მათ შორის სტრატეგიულად მნიშვნელოვან ფოთის პორტსა და სამტრედიის სარკინიგზო კვანძზე. ოქტომბერში შევარდნაძემ მოსკოვს დახმარება სთხოვა გამსახურდიას და მისი მომხრეების აჯანყების ჩახშობაში. რუსული ჯარები მოთხოვნისამებრ დაეხმარნენ. გამსახურდიას მომხრეები მალევე განეიტრალდნენ, რადგან არ გააჩნდათ მძიმე შეიარაღება და ბრძოლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამის შემდეგ გამსახურდიამ რამდენიმე მომხრესთან ერთად სამეგრელოს შორეულ სოფელს შეაფარა თავი. 1993 წლის 31 დეკემბერს იგი გარდაიცვალა.[2]

ყოველივე ამან გამოიწვია საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრორუსული ცვლილება. 1993 წლის ოქტომბერში შევარდნაძემ ხელი მოაწერა საქართველოს მიერთებას რუსეთის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ხოლო მომდევნო წელს თბილისი შეუერთდა ასევე რუსეთის ხელმძღვანელობით ინიციირებულ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებასაც.

2
გავრცელებული მოსაზრებით, გამსახურდიას გარდაცვალების ყველაზე სავარაუდო მიზეზი თვითმკვლელობაა, თუმცა მისი მხარდამჭერების ნაწილი ფიქრობს, რომ ის მოკლულია. აღნიშნულ საკითხს 2004 წლიდან იძიებს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილი სახელმწიფო კომისია და პროკურატურა. თუმცა, ამ გამოძიების შედეგები ჯერ არ გამოქვეყნებულა.

საქართველოს სახელმწიფო გადატრიალება და შემდგომი სამოქალაქო ომი კოლექტიურ მეხსიერებაში ჩანერგილია, როგორც ნეგატიური სქემა, რაც ამძაფრებს ამ მოვლენის ტრავმულ გავლენას. სწორედ ამიტომ, 30 წლის შემდეგ, ეს ომი პერიოდულად კვლავ იჩენს თავს აწმყოში და განიცდება ისე, თითქოს ეს გუშინ მოხდა (ჩიქოვანი და სხვა, 2022: 123).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თბილისის კონფლიქტისა და მისი შედეგების შესახებ სწავლება არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი წარსულის შესწავლისა და ხალხის იმაში ხელშეწყობისთვის, რომ სამომავლოდ იქნას გააზრებული ინდივიდუალური პასუხისმგებლობა ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ისტორიული ჭეშმარიტების დადგენა და სამართლიანობის აღდგენა. ახალმა თაობამ ნათლად უნდა გაიაზროს, რა მოხდა, რათა აიღოს პასუხისმგებლობა ისტორიულ წარსულსა და აწმყოზე. სხვა შემთხვევაში, გართულდება ჭეშმარიტებასა და სამართლიანობაზე დამყარებული საზოგადოების შენება.

საჯარო სკოლაში ამ მოვლენის სწავლება ერთგვარი გამოწვევაა, რადგან აკადემიურ ისტორიკოსებს შორის არ არსებობს საერთო ხედვა, რომლიდანაც შესაძლებელი გახდება პოლიტიკური გავლენისა და პროპაგანდისგან დაცლილი ობიექტური სურათის ჩამოყალიბება. ამას ემატება არასრული და ეპიზოდური ინფორმაცია ამ თემაზე ისტორიის სახელმძღვანელოებში. ამ საკითხზე მხოლოდ ქრონოლოგიურ ჩანაწერებს შევხვდებით, როგორც კურიკულუმში, ისე სახელმძღვანელოებში, რაც ისტორიკოსებსა და მკვლევრებს შორის იწვევს ეჭვსა და გაუგებრობას.[3] თითქმის 32 წელი გავიდა სამოქალაქო ომის დაწყებიდან და დროა საზოგადოებამ და თანამედროვე ისტორიით დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა იცოდნენ ამ კონფლიქტის რეალური მიზეზები და შედეგები.

საქართველოს სახელმწიფო გადატრიალება შეიძლება იყოს მგრძნობიარე და ტრავმული თემა მოსწავლეებისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათი ოჯახები უშუალოდ დაზარალდნენ. მასწავლებელი საგანს თანაგრძნობით უნდა მიუდგეს და მოემზადოს იმ მოსწავლეების მხარდასაჭერად, რომელთათვისაც შესაძლოა, ეს თემა ემოციურად რთული აღმოჩნდეს. რაკი კონფლიქტი მოვლენაა უახლესი ისტორიიდან, მან შესაძლოა გამოიწვიოს დაძაბულობა ან დეზორიენტაცია გადაუჭრელ საკითხებში. მასწავლებლებმა უნდა იხელმძღვანელონ ამ სენსიტიურობით და უზრუნველყონ უსაფრთხო სივრცე დისკუსიებისთვის განსხვავებული აზრის პატივისცემის უზრუნველყოფით. თემის ირგვლივ დისკუსიებში ჩართვის შესაბამისი გზების პოვნა სასწავლო გეგმის გადატვირთვის გარეშე მოითხოვს ფრთხილ დაგეგმვასა და თანამშრომლობას, ერთი მხრივ, მასწავლებლებსა და, მეორე მხრივ, სასწავლო მასალისა და სახელმძღვანელოების ავტორებს შორის. სანდო და მიუკერძოებელ რესურსებზე წვდომა შეიძლება შეზღუდული იყოს. მასწავლებლები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ აქვთ ზუსტი და უახლესი მასალები, რათა შეძლონ მოვლენების ყოვლისმომცველი აღქმა.

შინაარსობრივი ნაწილის ასაკის შესაბამისობაში მოყვანა, გადამწყვეტია. უმცროსი მოსწავლეებისთვის შეიძლება რთული გამოდგეს გეოპოლიტიკური საკითხების გაგება, ამიტომ

3
უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ახალ სახელმძღვანელოებში 90-იანი წლების კონფლიქტები და მათი გადაჭრის მცდელობები მეტადაა წარმოჩენილი.

მასწავლებლებმა უნდა მოარგონ მასალა მოსწავლის ასაკსა და აღქმის დონეს. მაგალითად, იმის ჩვენება, თუ როგორ გამოიყურებოდა ქალაქის ცენტრი, რუსთაველის გამზირი შეიარაღებულ კონფლიქტამდე და მის შემდეგ, რათა მოსწავლეებმა შეძლონ დანგრეული შენობების ამოცნობა ფოტოებზე.

სამეცნიერო მასალის გარდა, ხელშესახებ წყაროდ შეიძლება გამოვიყენოთ 2022 წელს დაწყებული პროექტი „საქართველოს დაბადება“[4], რომელიც უკვე მოიცავს 150 ვიდეო ეპიზოდს. ვრცელ ვიდეო ინტერვიუებში საკუთარ გამოცდილებაზე საუბრობენ პიროვნებები, რომლებიც უშუალო მონაწილეები იყვნენ საქართველოს თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. რა თქმა უნდა, მემუარები არ შეიძლება ჩაითვალოს ემპირიულ წყაროდ, რადგან მონაწილეები ამბავს ჰყვებიან საკუთარი პერსპექტივიდან, თუმცა, კონტრასტული ნარატივების საშუალებით შესაძლებელია კრიტიკული აზროვნების განვითარება და მოვლენებზე ხედვის ჩამოყალიბება მულტიპერსპექტიული მიდგომით.

4
იხ. „საქართველოს დაბადება” YouTube-ის არხი: https://www.youtube.com/@dabadeba

წყაროები

Toal, G. (2016) *The Near Abroad: Putin, the West, and the Contest over Ukraine and the Caucasus [ახლო უცხოეთი: პუტინი, დასავლეთი და ბრძოლა უკრაინისა და კავკასიისთვის]*. Oxford: Oxford University Press.

Chikovani, N., Kakitelashvili, K., Chkhaidze, I., Tsereteli, I. & Ephadze, K. (2022) *Georgia: Trauma and Triumph on the Way to Independence [ტრავმა და ტრიუმფი დამოუკიდებლობისკენ მიმავალ გზაზე]*. Tbilisi: Tbilisi State University Press.

Jones, S. (2013) *Georgia: A Political History since Independence, Part 1: The Best of Times, the Worst of Times: 1985–1995 [საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის შემდეგ, ნაწილი 1: ყველაზე კარგი და ცუდი დღეები: 1985–1995 წწ.]*. London: Bloomsbury Publishing.

სასწავლო აქტივობა

თავისუფლება, რომელიც იქცა ტრაგედიად

ავტორები	ლევან ბუკია, თბილისის საჯარო სკოლა №87, საქართველო ლელა კაკაშვილი, გორის საჯარო სკოლა №9, საქართველო ეკატერინე მაისურაძე, გორის საჯარო სკოლა №12; თბილისის საჯარო სკოლა №133, საქართველო თამუნა მაჭარაშვილი, თბილისის საჯარო სკოლა №77, საქართველო გიორგი ლაბაძე, ამერიკული საერთაშორისო სკოლა „პროგრესი", თბილისი, საქართველო

ასაკი	17-18 წ.
მთავარი შეკითხვა	რამდენად აქტუალურია ჩვენთვის 1991-1992 წლებში თბილისში განვითარებული მოვლენები?

1991-92 წლებში საქართველოს სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. ამ სასწავლო აქტივობაში მოსწავლეები დაინახავენ კონფლიქტის ისტორიებს პროსამთავრობო და ოპოზიციური პერსპექტივიდან, ისევე როგორც მოვლენის თვითმხილველი მოსახლეობის თვალით. მოსწავლეები იმუშავებენ ინდივიდუალურად და ჯგუფურად: ისინი წაიკითხავენ და გააანალიზებენ ისტორიულ წყაროებს სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რაც მათ დაეხმარებათ გაიგონ ინფორმაცია არა მხოლოდ მოვლენებზე, არამედ კონფლიქტის მიზეზებსა და შედეგებზე.

სასწავლო შედეგები

სტუდენტები შეძლებენ:

- → განიხილონ და შეადარონ რიგითი მოქალაქეების მოგონებები კონფლიქტის შესახებ.
- → გააანალიზონ ისტორიული წყაროები და გაეცნონ ომის გავლენას ქართულ საზოგადოებაზე.
- → გამოიყენონ სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყარო და განსხვავებული პერსპექტივები ისტორიულ მოვლენებზე მოსაზრებებისა და პოზიციების დასაბუთებისთვის.
- → განიხილონ ღირებულებები, რომლებიც კონფლიქტის შედეგად შეიცვალა ან/და დამკვიდრდა ქართულ საზოგადოებაში.

აქტივობები

ეტაპი I

ბრეინსტორმინგი 10 წუთი

აქტივობის მიზანია მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება გაკვეთილის თემის მიმართ. მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს სიუჟეტს 1991[1] წლიდან (ტრანსკრიპტისთვის იხილეთ დანართი I) ასევე ცენტრალური თბილისის რუკას Google Maps-ზე,[2] განმარტებით, რომ კონფლიქტის საზღვრები არ სცდებოდა რუსთაველის გამზირსა და მიმდებარე ქუჩებს. მეტი ისტორიული კონტექსტის უზრუნველსაყოფად, კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, მოსწავლეები ასევე შეიძლება გაეცნონ თბილისის ომის ძირითად თარიღებს (იხ. დანართი IV).

ამის შემდეგ, მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- → როგორ იმოქმედა თბილისის კონფლიქტმა მშვიდობიან მოსახლეობაზე?
- → როგორ ფიქრობთ, რამდენად მასშტაბური იყო კონფლიქტი?
- → რუკისა და ვიდეოს მიხედვით, თბილისის რომელი უბნები და ქუჩები დაზარალდა ბრძოლით?

ეტაპი II

წყაროების ანალიზი 45 წუთი

ამ აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა გააანალიზონ სხვადასხვა ნარატივი კონფლიქტის შესახებ და შეადარონ ისინი ერთმანეთს, რათა ჩამოაყალიბონ საკითხის მულტიპერსპექტიული ხედვა.

მოსწავლეები იყოფიან 3 ჯგუფად. პირველი ჯგუფი მუშაობს ხელისუფლების მომხრეთა წყაროებზე; მეორე ჯგუფი აანალიზებს ოპოზიციის მხარდამჭერთა მოსაზრებებს; მესამე ჯგუფი აანალიზებს თვითმხილველთა მოგონებებს (წყაროებისთვის იხილეთ დანართი II).

[1] იხ.: 'ABC News 24.12.1991 | Tbilisi, Georgia' YouTube-ზე: https://www.youtube.com/watch?v=Mg5dIAecq0g, წვდომა 2024 წლის 14 თებერვალს.

[2] იხ. შოთა რუსთაველის გამზირი Google Maps-ზე: https://maps.app.goo.gl/6QBZ8SYjncf7m5rv9

ჯგუფი 1

- → წყაროების მიხედვით, როგორ აფასებდა პრეზიდენტი გამსახურდია ოპოზიციის ქმედებებს?
- → რამ გამოიწვია ქართული საზოგადოების ორად გაყოფა? როგორ ხსნიან ამ ფენომენს ხელისუფლების მხარდამჭერები?
- → როგორ აფასებენ სამოქალაქო კონფლიქტს ხელისუფლების მხარდამჭერები?
- → რაში ხედავდა ეს ხალხი გამოსავალს?

ჯგუფი 2

- → როგორ აფასებენ ოპოზიციის მხარდამჭერები სამოქალაქო კონფლიქტს? მათი აზრით, რა იქცა ამის მიზეზად?
- → მათი აზრით, რა შედეგი მოჰყვება ამ დაპირისპირებას? რას ხედავდნენ გამოსავლად?
- → რა იყო ოპოზიციის მთავარი ბრალდება ხელისუფლების მიმართ?
- → თქვენი აზრით, საკმარისი იყო თუ არა ოპოზიციის არგუმენტები შეიარაღებული დაპირისპირებისთვის?

ჯგუფი 3

- → როგორ აფასებენ თვითმხილველები 1991-92 წლების მოვლენებს?
- → რომელი ის საერთო ღირებულებები, რომლებზეც საჯარო პირები (საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები - public figures) საუბრობენ კონფლიქტიდან რამდენიმე წლის შემდეგ?
- → რა შეიძლება გვასწავლოს ამ მოვლენებმა? რა დასკვნების საშუალებას გვაძლევს წყაროები?
- → თქვენი აზრით, იყო თუ არა შესაძლებელი ამ კონფლიქტის თავიდან აცილება თუ იგი გარდაუვალი იყო?

ეტაპი III

ვენის დიაგრამა 10 წუთი

პრეზენტაციების გაზიარების შემდეგ კლასი ავსებს ვენის დიაგრამას. ვენის დიაგრამის ერთ მხარეს ჩამოწერეთ ხელისუფლების მხარდამჭერების 2 ან 3 პოზიცია, ანუ არგუმენტები, რომლებიც ეწინააღმდეგება სამხედრო მოქმედებას; მეორე მხარეს – ოპოზიციის მხარდამჭერების 2-3 პოზიცია, რომელიც ამართლებს სამხედრო მოქმედებას. ცენტრში დაწერეთ ნებისმიერი საერთო მოსაზრება, რომელიც ორივე მხარეს ჰქონდა კონფლიქტის შესახებ. დიაგრამა დაგეხმარებათ შეადაროთ კონფლიქტში მონაწილე მხარეების პოზიციები.



ეტაპი IV

სამოქალაქო ომის რეპრეზენტაციის ანალიზი ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში 10 წუთი

მოსწავლეებმა ინდივიდუალურად უნდა წაიკითხონ ამონარიდები ქართული სასკოლო სახელმძღვანელოებიდან (იხ. დანართი III) და განაცალკეონ ფაქტები მოსაზრებებისაგან (ხაზი გაუსვან სხვადასხვა ფერში). 10 წუთის შემდეგ მცირე ჯგუფებში უნდა იმსჯელონ, რომელი ტექსტია მიკერძოებული და რატომ.

ეტაპი V

დისკუსია 20 წუთი

კლასში მოსწავლეებმა უნდა განიხილონ შემდეგი კითხვები:

- → როგორ შეუძლია საზოგადოებას, გადადგას ნაბიჯები შერიგებისკენ?
- → II ეტაპზე შესწავლილ მასალებზე დაყრდნობით შეიძლება თუ არა თქმა, რომ საქართველოში კვლავ შესაძლებელია შერიგება სახელმწიფო გადატრიალების თემის ირგვლივ? ახსენით, რატომ (არა).
- → რამდენად აქტუალურია 1991-92 წლების მოვლენები ჩვენთვის დღეს?

შეფასება (საშინაო დავალება)

მოსწავლეებმა უნდა დახატონ ქანდაკება ან ძეგლი, რომელიც იქნება სახელმწიფო გადატრიალების დროს დაყოფილი საზოგადოების შერიგების სიმბოლო. მოსწავლეებს შეუძლიათ დავალების წარმოდგენა ვირტუალურად ან მოდელის ან ნახატის სახით. ისინი უნდა დაფიქრდნენ და უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

- → რას დაარქმევდით თქვენს მონუმენტს?
- → რაში გამოიხატება თქვენი მონუმენტის სიმბოლიზმი?
- → როგორ იქცევა თქვენ მიერ შექმნილი ძეგლი შერიგების სიმბოლოდ?

ლექსიკონი

აგვისტოს პუტჩი – 1991 წლის 19 აგვისტოს, მიხეილ გორბაჩოვის საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენებისა და საბჭოთა კავშირის შენარჩუნების წარუმატებელი მცდელობა.

ბლინდაჟი – გამაგრებული სტრუქტურა, ერთგვარი სანგარი, რომელიც იცავს ჯარისკაცებს არტილერიისა და ნაღმმტყორცნების ცეცხლისგან.

გვარდიელი – საქართველოს ეროვნული გვარდიის წევრი, რომელიც თბილისის ომის დროს ოპოზიციური ძალების მხარეს იბრძოდა. ისევე როგორც მთელი ქვეყანა, კონფლიქტის დროს ეროვნული გვარდიაც გაიყო.

მთაწმინდა – ქუჩა და უბანი თბილისში.

ეროვნული მოძრაობა – XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული დისიდენტური მოძრაობა, რომლის მიზანიც იყო საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლა და დამოუკიდებლობის მოპოვება.

რუსთაველის გამზირი – თბილისის მთავარი ქუჩა.

ზვიადისტი – პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერებისთვის შერქმეული სახელი.

პიროვნებების სია

ბერია ლავრენტი (1899-1953) – შინსახკომის ხელმძღვანელი სტალინისა და მეორე მსოფლიო ომის ეპოქაში. 1930-იანი წლებიდან მოყოლებული, ის აქტიურად მონაწილეობდა მასობრივ წმენდაში.

გამსახურდია ზვიად (1939-93) – საქართველოს პირველი პრეზიდენტი (1991-92 წწ). 1989 წლის ბოლოს მან დიდი წვლილი შეიტანა სსრკ-ში პირველი მრავალპარტიული არჩევნების ჩატარებაში. გარდაიცვალა იდუმალ ვითარებაში 1993 წლის 31 დეკემბერს. მოიხსენიებენ მონონიმით – „ზვიადი“.

იოსელიანი ჯაბა (1926-2003) – სამხედრო საბჭოს წევრი, რომელიც საქართველოს მართავდა 1992 წლის 6 იანვრიდან 10 მარტამდე, სანამ ორგანოს შეცვლიდა სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით. 1991 წელს იოსელიანის დაპატიმრებამ გამოიწვია 2 სექტემბრის პროტესტი (იხ. დანართი IV: ძირითადი თარიღები, ქვემოთ).

კიტოვანი თენგიზ (1938-2023) – სამხედრო საბჭოს წევრი, რომელიც საქართველოს მართავდა 1992 წლის 6 იანვრიდან 10 მარტამდე, სანამ ორგანოს შეცვლიდა სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით.

ორჯონიკიძე სერგო (1886-1937) – ბოლშევიკი რევოლუციონერი, რომელიც ჩართული იყო თბილისის მუშებს შორის რევოლუციურ პროპაგანდაში. იგი აქტიურად მონაწილეობდა 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციაში და რუსეთის სამოქალაქო ომის დროს ბოლშევიკების კავკასიაში შემოჭრაში, რასაც საბოლოოდ მოჰყვა სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს კავკასიური რესპუბლიკების ოკუპაცია და სსრკ-ს მიერ შთანთქმა, რის გამოც ის საქართველოს მოღალატედ აღიქმება.

სიგუა თენგიზ (1934-2020) – სამხედრო საბჭოს წევრი, რომელიც საქართველოს მართავდა 1992 წლის 6 იანვრიდან 10 მარტამდე, სანამ ორგანოს შეცვლიდა სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, რა დროსაც ის გახდა პრემიერ-მინისტრი.

შევარდნაძე ედუარდ (1928-2014) – სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი 1985-1990 წლებში. იყო საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი სამოქალაქო ომის დროს და საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წლებში. მის დროს საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას შეუერთდა.

ვიდეოს ტრანსკრიპტი

წყარო: ABC News (1991) 'Tbilisi, Georgia', 24 December, https://www.youtube.com/watch?v=Mg5dIAecq0g, წვდომა 2024 წლის 6 თებერვალს.

საბჭოთა საქართველოში, მაშინ როცა აჯანყებულთა ძალები ბომბავდნენ პარლამენტის შენობას რესპუბლიკის დემოკრატიულად არჩეული ლიდერის განდევნის მიზნით, პრეზიდენტი გამსახურდია „ტერორისტებთან" ბრძოლაში დახმარებისთვის მიმართავდა დასავლეთს. სულ მცირე 30 ადამიანი დაიღუპა, 250-ზე მეტი დაშავდა. ჟურნალისტი შეილა კასტი დედაქალაქ თბილისშია.

პრეზიდენტ გამსახურდიას ბუნკერზე თავდასხმისთვის აჯანყებულები იყენებენ ყოველგვარ იარაღს, რომელიც კი ხელში ჩაუვარდებათ, დაწყებული AK-47-ებიდან, გაგრძელებული მცირე ზომის შაშხანებით, პისტოლეტებით, დამთავრებული ჯავშანტრანსპორტიორებით. აჯანყებულები კარგად არიან მომარაგებული საბრძოლო მასალით. მათი დაბომბვა ულმობელია, ხოლო პრეზიდენტის მხარდამჭერები მხოლოდ სნაიპერული სროლით პასუხობენ. იმპროვიზებული შტაბი აჯანყებულებმა ტურისტულ სასტუმროში განათავსეს, ქუჩის გადაღმა მთავრობის შენობამდე ტერიტორია კი უკაცრიელ მიწად გადაიქცა.

მხოლოდ ამ გამზირზე, დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე, მიმდინარეობს ბრძოლა ძალაუფლებისთვის. ქალაქის და რესპუბლიკის დანარჩენ ნაწილში ცხოვრება ნორმალურია. თბილისელები განცვიფრებული ადევნებენ თვალს დაბომბვებს. გასულ მაისში თავისუფალ არჩევნებში დიდმა უმრავლესობამ გამსახურდიას მისცა ხმა და ბევრი არ ეთანხმება ოპოზიციის ბრალდებას, რომ ის დიქტატორად იქცა. მხოლოდ რამდენიმე ასეულმა ადამიანმა აიღო იარაღი ორივე მხრიდან.

„ეს პუტჩია, ეს ჯერ კიდევ არ არის სამოქალაქო ომი..." მაგრამ მოსახლეობა წუხს, რომ ეს შეიძლება სამოქალაქო ომში გადაიზარდოს. კონფლიქტის ორივე მხარეს სურდა დამოუკიდებლობა ძველი საბჭოთა სახელმწიფოსგან, მაგრამ ახლა არ ჩანს გამოსავალი ჩიხიდან, ერთი მხრივ, საპრეზიდენტო ძალებს შორის, რომლებიც აცხადებენ, რომ ავტორიტარული მმართველობა ერთადერთი გზაა ახალი დემოკრატიის დასამყარებლად და მეამბოხეებს შორის, რომლებიც მისეულ დემოკრატიას აღიქვამენ, როგორც მათი თავისუფლების მტერს.

წყაროები

ჯგუფი 1 ხელისუფლების მომხრეები

წყარო ა

‘ქართველები - ბარიკადების სხვადასხვა მხარეს’

„მთავრობის სახლთან – აქ კვლავ გრძელდება მიტინგები და პრეზიდენტის დასაცავი სხვა აქციები. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან უწყვეტ ნაკადად მოედინება მშრომელები, მოდიან ქალაქის სხვადასხვა წარმოება-დაწესებულების მუშები... ‘ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ დავიცვათ ჩვენი პრეზიდენტი’, გვითხრა რობერტ უგულავამ. – ‘ვისგან, ქართველებისგან?’ - ვკითხეთ ჩვენ. – ‘ორჯონიკიძეც და ბერიაც ქართველი იყო, მაგრამ რა მოახდინეს არ გახსოვთ? თქვენი მოწინააღმდეგე ყველა ქართველი ბერია და ორჯონიკიძეა?’ – ‘ეგ მე არ ვიცი, მაგრამ როცა საქართველოს ერთი ნაბიჯი უკლია დამოუკიდებლობამდე, პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილი ნებისმიერი აქცია ნამდვილად ორჯონიკიძეობაა.’ ეთერ მჭედლიანი: ‘ჟურნალისტი: ‘ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩვენს პრეზიდენტს, მხარს ვუჭერთ და არა ვიცავთ. ზვიად გამსახურდიას ჩვენი დასაცავი არაფერი სჭირს, ჩვენ საქართველოს მომავალს ვიცავთ’.”

წყარო: კანდელაკი, ე. (1991) ‘ქართველები – ბარიკადების სხვადასხვა მხარეს’. *ახალგაზრდა ივერიელი*, 21 სექტემბერი, N107-108, გვ.5.

წყარო ბ

‘დემოკრატია ანარქია არ არის’

„განა ნამდვილი დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯზე არ მეტყველებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთვის ჩატარებული რეფერენდუმი, პრეზიდენტის საერთო სახალხო არჩევნები ან თუნდაც ოპოზიციურ გაზეთებში ხელისუფლების განმაქიქებელი ხასიათის პუბლიკაციები? რაც შეეხება რესპუბლიკის პრეზიდენტს, სექტემბრის ამბებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ იგი ზედმეტად ლიბერალი პიროვნებაა. აბა რომელი ქვეყნის ხელმძღვანელი აიტანდა კბილებამდე შეიარაღებული ოპოზიციის ამგვარ პარპაშს. სხვა მხრივ ოპოზიციის მიერ მსოფლიო საზოგადოების თვალში ზ.გამსახურდიას დიქტატორად „მონათვლა“ სასიკეთო შედეგს ვერ მოუტანს ოპოზიციას და საერთოდ საქართველოს.”

წყარო: თოდუა, თ. (1991) „დემოკრატია ანარქია არ არის“. *ახალგაზრდა ივერიელი*, 5 ოქტომბერი, N113-114, გვ.4.

წყარო გ

‘ამომრჩევლების სამასკაციანი ჯგუფი’

„ამ დღეებში ამომრჩევლების სამასკაციანმა ჯგუფმა (ხელმოწერების შეგროვება გრძელდება) პრესით და ტელევიზიით დაჟინებით მოუწოდა საქართველოს პრეზიდენტს, დაუყოვნებლივ დაითხოვოს პარლამენტი და რესპუბლიკაში საპრეზიდენტო მმართველობა შემოიღოს. ‘უჭერთ თუ არა მხარს ამ მოწოდებას?’ გელა როინიშვილი, ექიმი: – ‘მე მჯერა, რომ ზვიად გამსახურდია, თვით სრული ძალაუფლების ხელში აღების შემდეგაც, არ დაივიწყებს მთავარს – ყველაფერზე, რასაც ის გააკეთებს, პირდაპირ იქნება დამოკიდებული საქართველოს ბედ-იღბალი. საქართველო კი, რაც არ უნდა თქვას მავანმა და მავანმა, ზვიადს ყველაზე მეტად უყვარს.’”

წყარო: *ახალგაზრდა ივერიელი* (1991), 12 ოქტომბერი, N115-117, გვ.5.

წყარო დ

‘მიტინგები გრძელდება, დაძაბულობა მატულობს’

„7 სექტემბერს, საღამოს ხუთ საათზე, რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი... მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ. თავის გამოსვლაში მან ბრძანა, რომ საქართველოში პოლიტიკურ დესტაბილიზაციას იწვევს მტრული ძალები, რომლებიც მოსკოვიდან იმართებიან. მოსკოვს არ სურს საქართველოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ყოველნაირად აფერხებს მის საერთაშორისო აღიარებას. აქაური მოღალატეები და მტრები კი მტრის წისქვილზე ასხამენ წყალსო, - ბრძანა პრეზიდენტმა. მან მოუწოდა მომიტინგეებს, მთელ საქართველოს, დაუნდობლად ებრძოლონ და გაანადგურონ საქართველოს მტრები და მოღალატეები.”

წყარო: ქორიძე, თ. (1991) ‘მიტინგები გრძელდება, დაძაბულობა მატულობს’. *ჯერონი*, 13 სექტემბერი, N35(51), გვ.1.

ჯგუფი 2 ოპოზიციის მომხრეები

წყარო ა

‘ქართველები-ბარიკადების სხვადასხვა მხარეს’

„ჩემი თაობა სტალინზე და ბერიაზე სიმღერებით აღიზარდა, არ მინდა რომ ჩემი შვილიშვილები ახლა ზვიადიზე სიმღერებით იზრდებოდნენ, ეს კიდევ ერთხელ იქნება ჩვენი მონური ბუნების დასტური. მე ვერ დავუკარგავ უდიდეს ამაგს ზვიად გამსახურდიას საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე, - მან შესანიშნავად დაანგრია კომუნისტური სისტემა, მაგრამ კარგი მნგრეველი ყოველთვის როდი გამოდგება ახლის მშენებლად.”

წყარო: კანდელაკი, ე. (1991) ‘ქართველები-ბარიკადების სხვადასხვა მხარეს’. *ახალგაზრდა ივერიელი*, 21 სექტემბერი, N107-108, გვ.5.

წყარო ბ

რესპუბლიკის მოედანი, 27 დეკემბერი 1991

„იცით, უკვე მდგომარეობა იქამდე მივიდა, სიტუაცია იქამდეა მისული, რომ ეგ საკითხი უკვე, გარდა პოლიტიკური მოლაპარაკების გზით და სხვა ასეთი არაშეიარაღებული გზით უკვე აღარ გადაწყდება. ეს აბსოლუტურად უნდა გადაწყდეს, დამთავრდეს იარაღით. ზვიად გამსახურდია თავისი ნებით არ გადადგება. ყველა საშუალება უკვე ამოწურულია, ჩვეულებრივი, მშვიდობიანი, დიპლომატიური, ან თუ გინდათ, ოპოზიციური ბრძოლისა, ამოწურულია." – მოქალაქე.

წყარო: კიზირია, დ. (2018) *პუტჩი*. თბილისი: გამომცემლობა არტანუჯი, გვ.100.

წყარო გ

‘მიტინგები გრძელდება, დაძაბულობა მატულობს’

„7 სექტემბერს, რუსთაველის პროსპექტზე, თეატრალური ინსტიტუტის წინ, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით გაიმართა მიტინგი. მისმა მონაწილეებმა დაგმეს ხელისუფლების მოქმედება და მოითხოვეს პრეზიდენტ გამსახურდიას გადადგომა, რადგან მას დიქტატურისა და ტოტალიტარიზმისკენ მიჰყავს საქართველო, აღნიშნავს, რომ ვიდრე საქართველოს ხელისუფლება და პირადად პრეზიდენტი ახორციელებენ ანტიდემოკრატიულ, ანტიხალხურ პოლიტიკას, საქართველოს საერთაშორისო აღიარება არ ეღირსება.”

წყარო: ქორიძე, თ. (1991) ‘მიტინგები გრძელდება, დაძაბულობა მატულობს’. *დრონი*, 13 სექტემბერი, N35(51), გვ.1.

წყარო დ

‘პოლიტიკური “სიურპლიასი”’

ისევე როგორც დანარჩენი ქვეყნის შემთხვევაში, საქართველოს ეროვნული გვარიდიაც კონფლიქტის დროს ორ ბანაკად გაიყო: პრეზიდენტის მომხრე ფრაქცია; და კიტოვანის მომხრე ოპოზიცია, რომლებიც სახელმწიფო ტელევიზიო დეპარტამენტთან იყო დაბანაკებული.

„მოწინააღმდეგე მხარეებს აქვთ თავიანთი „ტაბუდადებული“ საკითხები, რომელთა წამოყენება, ჯერჯერობით მაინც, ავტომატურად შლის ყოველგვარ მოლაპარაკებას. ხელისუფლებისთვის ეს საკითხია პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა, ოპოზიციისთვის - ტელერადიოდეპარტამენტის შენობასთან დაბანაკებულ გვარდიელთა განიარაღება, რომელსაც მატი აზრით, უეჭველად მოჰყვება რეპრესიები. ამასთან, იქ მყოფი გვარდიელები თვლიან, რომ თვითონ არიან ნამდვილი ოფიციალური გვარდია და არა ისინი, ვინც პრეზიდენტის მხარეზე გადავიდა. ამიტომ ამ ორი წინადადების წამოწევა წყლის ნაყვას ჰგავს.”

წყარო: ჩოჩიშვილი, გ. (1991) ‘პოლიტიკური “სიურპლიასი”’. *დრონი*, 4 ოქტომბერი, N38(41)

წყარო ე

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით!

„[...] ითვალისწინებს რა იმას, რომ ზვიად გამსახურდიას დანაშაულებრივი ხელისუფლების სახით საქართველოში დამყარებულია უზნეობისა და საყოველთაო სიძულვილზე აგებული ავტორიტარულ-დიქტატორული რეჟიმი, ... ითვალისწინებს რა იმას, რომ საქართველო კვლავ იმყოფება საბჭოთა რუსეთის იმპერიის აგრესიის ქვეშ ოკუპირებულ და ანექსირებულ მდგომარეობაში, ... ითვალისწინებს რა იმას, რომ 1991 წლის 2 სექტემბერს ხელისუფლებამ ბარბაროსულად დაარბია მშვიდობიანი მანიფესტაცია და ცეცხლი გაუხსნა დემონსტრანტებს, რითაც ჩაიდინა დანაშაული საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ... ამიტომ საქართველოში გაბატონებული საყოველთაო უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია იწყებს უვადო მჯდომარე მშვიდობიან პოლიტიკურ გაფიცვას შემდეგი მოთხოვნებით:

1 ზვიად გამსახურდიას გადადგომა პრეზიდენტობიდან და საქართველოს დამოუკიდებლობამდე პრეზიდენტობის ინსტიტუტის გაუქმება.
2 საქართველოს ტერიტორიული გამოსვლა სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრებიდან და საქართველოს საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობის გაყვანა.
3 სიტყვის, პრესის, ტელევიზიისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებების შეუზღუდავი თავისუფლების უზრუნველყოფა.
4 სისხლის სამართლის საქმის აღძვრა 1991 წლის 2 სექტემბრის დემონსტრაციის დამრბევთა წინააღმდეგ.”

წყარო: ‘საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის განცხადება საქართველოში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით!’. *დროება*, სექტემბერი, 1991, N25.

ჯგუფი 3 თვითმხილველთა მონათხრობი (საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები)

წყარო ა

პაატა ბუხრაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ისტორიკოსი

„ეროვნული მოძრაობის“ ჩამოყალიბების უშუალო მომსწრე ვიყავი. უკვე აქტიურად ვიყავი ჩართული და საპროტესტო აქციებში საკმაოდ შეგნებულად ვმონაწილეობდი. პოლიტიკურად მიკერძოებული არ ვარ, მაგრამ დაზარალებული ქართველი ერის წარმომადგენელი ვარ. საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ინიციატივით, სახელმწიფო ქონების დენაციონალიზაცია გამოცხადდა და პროცესი უნდა დაწყებულიყო, რაიკომის [საბჭოთა დროინდელი ადგილობრივი პარტიული კომიტეტის] მდივნები ამაზე გაბრაზდნენ. გარდა ამისა, საქართველო საკმაოდ განვითარებული ქვეყანა იყო, თავისი მძიმე და მსუბუქი მრეწველობითა და ქარხნებით; ბათუმსა და ფოთში გემთმშენებელი ქარხანა იყო. ფოთმა უნიკალური წყალქვეშა ნავი გაუშვა. იყო მანქანათმშენებლობისა და სატანკო ქარხნები, რომლებიც ქმნიდნენ ქვეყანაში ეკონომიკურ სიძლიერეს. საქართველო საბჭოთა კავშირს ორგანიზებული ეკონომიკით ტოვებდა; ეს ყველაფერი რუსეთის ინტერესებს არ შეეფერებოდა და საქართველოს საოლქო კომიტეტის მდივნები იზიარებდნენ რუსეთის ინტერესებს. მათ სურდათ შეენარჩუნებინათ არსებული პრივილეგიები. ქარხნების დირექტორები თავს ბოლო დირექტორებად თვლიდნენ და ამიტომაც გამოაცხადეს ეს ქარხნები თავიანთ საკუთრებად.”

პაატა ბუხრაშვილი (2023), ინტერვიუ ჩაწერეს ლელა კაკაშვილმა და თამუნა მაჭარაშვილმა 14 აგვისტოს, თბილისი, საქართველო.

წყარო ბ

თამაზ მაყაშვილი, ოფიციალური პირი გორიდან

„სამოქალაქო ომი, ეროვნულ მოძრაობაში განხეთქილების შედეგად წარმოიშვა. საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი ეროვნული მოძრაობის ერთ ნაწილს გაჰყვა, მეორე ნაწილი მეორე მხარეს აღმოჩნდა. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მმართველობის მრავალი სისუსტე ამ ერთი წლის განმავლობაში [1991] გამოვლინდა. გამსახურდიას გუნდში განხეთქილება მოხდა. მას დაუპირისპირდნენ პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და თავდაცვის მინისტრი თენგიზ

კიტოვანი. მათ დაიწყეს სამოქალაქო ომი. 1991 წლის 22 დეკემბერს პირველი ტყვია გაისროლეს. ამჟამად, მიმდინარეობს მსჯელობა იმაზე, თუ რომელმა მხარემ გაისროლა, მაგრამ ამას შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდეს. მაშინ მოსახლეობის უმრავლესობამ ზვიად გამსახურდიას მხარი არ დაუჭირა და ოპოზიციის მხარეს დადგა. საომარი მოქმედებების შედეგად ხელისუფლება დაემხო, პრეზიდენტი კი ჩეჩნეთში გაიქცა. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებით კამათი თითქოს დასრულდა, მაგრამ საზოგადოება მაინც დაყოფილი დარჩა: ოჯახები გაიყო ზვიადისტებად და არაზვიადისტებად. ეს იყო ჩვენი ხალხისთვის ისტორიის ყველაზე რთული, სამარცხვინო ფურცლები. იმ დროს იზღუდებოდა პრესის თავისუფლება, აქტუალური იყო ეთნიკური უმცირესობების საკითხი. ოპოზიციის მშვიდობიანი აქციები ძალისმიერი მეთოდებით იშლებოდა: მახსოვს, სახანძრო მანქანა პირდაპირ აქციის მონაწილეთა რიგებში შევიდა. მაგრამ ოპოზიციამ ასევე ბევრი შეცდომა დაუშვა. მთავარი შეცდომა ის იყო, რომ ამ ყველაფერმა სამოქალაქო ომი გამოიწვია. ოპოზიციას სურდა ხელისუფლების სწრაფი შეცვლა, მაგრამ არჩევნებამდე მაინც უნდა მოგვეცადა..”

თამაზ მაყაშვილი (2023), ინტერვიუ ჩაწერეს ლელა კაკაშვილმა და თამუნა მაჭარაშვილმა 13 აგვისტოს, თბილისი, საქართველო.

წყარო გ

ეკა მარგველანი, მასწავლებელი

„მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და მახსოვს ის ატმოსფერო. იმ მომენტში ფაქტებს ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა და რატომ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ის, რომ რაღაც ცუდი ხდებოდა, ყველამ შეამჩნია, პატარაც და დიდმაც. მცირე გამონაკლისის გარდა, მაშინდელი ელიტის უდიდესი ნაწილი, ცნობილი რეჟისორები, მსახიობები და ტელეწამყვანები ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდნენ. უბრალო ხალხს არ სურდა ხელისუფლების ასეთი რადიკალურად შეცვლა. უბედურების შესახებ ცნობები ზამთრის არდადეგებს დაემთხვა. მე უკვე დასავლეთ საქართველოში ვიყავი და ტელევიზიით ვუყურებდით რუსთაველის მოვლენებს. ვერ ვიჯერებდი, რომ ქალაქის ცენტრში ჩვეულებრივი ომი მიმდინარეობდა ქართველებს შორის, ისეთი, როგორიც ფილმებში მინახავს, იარაღით, მძიმე არტილერიით, ავტომატებით... მახსოვს, თბილისში გვიან დავბრუნდით, ყველაფერი უკვე დამთავრებული და როცა რუსთაველი პირველად დავინახე ნანგრევებში, ბოლოს მივხვდი, რომ ეს ამბავი მართლაც აქ მოხდა. ყველაფერი დაინგრა, შენობები დაინგრა. ეს ყველაფერი ასე ნაცრისფერი იყო რამდენიმე წლის განმავლობაში. ადგილი დასუფთავებული იყო, მაგრამ შენობები მოგვიანებით არ აღადგინეს და ყოველ ჯერზე, როცა გავდიოდი, სულ ვფიქრობდი, როდის ააშენებენ, არ შეიძლება ააშენონ, რომ ასე აღარ იყოს, რადგან ომის პერიოდი მახსენდება. მე, პირადად, ამ მოვლენებმა შემაშინა და როცა დღეს საპროტესტო აქციები იმართება, რაც არ უნდა მშვიდობიანი იყოს, მაინც მეშინია, რომ იგივე მოხდება, ისევ დაიწყებენ სროლას...”

ეკა მარგველანი (2023), ინტერვიუ ჩაწერა თამუნა მაჭარაშვილმა 15 აგვისტოს, თბილისი, საქართველო.

წყარო დ

ნუგზარი, თვითმხილველი

„თბილისის ომს შეიძლება ‘მთაწმინდის ომი’ ეწოდოს, რადგან ქალაქის სხვა რაიონებში ჩვეულებრივი ცხოვრება გრძელდებოდა, ხოლო დეზერტირის ბაზარში გახურებული საახალწლო ვაჭრობა იყო გაჩაღებული და უმრავლესობას ფეხებზე ეკიდა, ომი რით დამთავრდებოდა. სახლში ვიჯექი და პირველი დღეები განუწყვეტლივ ვადევნებდი თვალს ჩემი ბინის აივნიდან, რომელიც ბესიკის ქუჩას გადაჰყურებს. მაშინ საცხოვრებელ სახლებს არ ესროდნენ. ეს მერე იყო, ტყვიების სეტყვა რომ წამოვიდა და მთავრობის სახლის მიმდებარე არემარეში ერთი შენობა არ დარჩა დაუცხრილავი...ჩვენს სხვენს რამდენჯერმე გაუჩნდა ცეცხლი და მეზობლებმა ჩააქრეს. მეხანძრეები აღარ მოდიოდნენ, ვიღაცები მათაც ესროდნენ, რომ ხანძარი ცოტა ხანს კიდევ გაგრძელებულიყო. სახლში ფანჯრები ჩარჩოებიანად ჩალეწილი მქონდა, აივნის კარი – დაცხრილული. ერთადერთი, გარეთა, მზიდ კედელში ვერ ატანდა ტყვია, და სწორედ ამ კედლის უკან, ოთახის კუთხეში მოვიწყვე ბლინდაჟი - დავიგე იატაკზე ლეიბი, გადმოვიტანე ტელევიზორი და წიგნები... ავტომატების განუწყვეტელი კაკანის მიუხედავად, მსხვერპლი მაინც მცირე იყო, რადგან არც ერთი მხარე არ ისროდა გამეტებით. ბესიკის კუთხეში, პურის მაღაზიასთან სამი გვარდიელი იდგა, მერე გამოველაპარაკე, გორელები აღმოჩნდნენ. ერთი მათგანი წამით მოსცილდა კედელს, ჩაიმუხლა და ზუბალაშვილების ქუჩის კუთხიდან მთავრობის სახლის მიმართულებით გაუშვა რამდენიმე ჯერი. მოარტყი ვინმეს? – ჰკითხა მეორემ. არა, და - მადლობა ღმერთს, არც აქამდე მომირტყამსო... ომი, რომელმაც კარგა ხნით გადაწყვიტა საქართველოს ბედი, და რომელსაც დღემდე მორცხვად იხსენიებენ თბილისის 1991-92 წლების მოვლენებად, მიმდინარეობდა სულ 2-3 კვადრატულ კილომეტრზე, ზემელიდან სოლოლაკამდე, ხოლო ქალაქის დანარჩენი რაიონების მცხოვრებთა ის მცირე ნაწილი, საახალწლო სუფრის სამზადისში კიდევ რომ შერჩენოდა ინტერესი, სწორედ ზემელამდე მოდიოდა, რომ ენახა, რა ხდებოდა. მოდიოდა სეირის, პირდაპირი მნიშვნელობით აღქმული ომის თეატრის საყურებლად...”

წყარო: გაჩეჩილაძე, გ. (2017) ‘ერთი კაცის მოგონებები თბილისის ომზე’, ამბები, 16 სექტემბერი, http://tinyurl.com/yc3upu7h, წვდომა 2023 წლის 12 თებერვალს.

წყარო ე

დათო ტურაშვილი, მწერალი

„არც ერთი პრობლემა არ იყო საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლებისათვის ტყვია გვესროლა. ამიტომაც მგონია, რომ იმ ძალადობას მაინც არანაირი გამართლება არა აქვს და იმ გამოუსწორებელი შეცდომის შედეგებს ახლაც მწარედ ვიმკით... მიტინგიც გავმართეთ უნივერსიტეტის ეზოში და იქვე აღმოვაჩინე კიდეც, რომ ომი საქართველოში მართლა ძალიან ბევრს სურდა. როცა მშვიდობასა და ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტაზე დავიწყეთ ლაპარაკი, მიტინგზე მოსული ხალხი ცმაშინვე შემოგვეცალა. უნივერსიტეტის წინ სულ რამდენიმე ადამიანი დავრჩით და ჩვენ შორის თავგანწირული კი მაინც გია აბესაძე აღმოჩნდა, რომელმაც რუსთაველის პროსპექტზე, თავი დემონსტრაციულად დაიწვა. მან

თავი მოიკლა პროტესტის ნიშნად და არც კი ვიცი, ასეთი მსხვერპლი თუ ახსოვს სხვა რომელიმე ქვეყნის სამოქალაქო ომის ისტორიას... თუმცა კლასიკური გაგებით, თბილისის ომი არ იყო სამოქალაქო ომი, ისევე როგორც კლასიკური გაგებით აჯანყება ან რევოლუციური ამბოხი. ეს უფრო იყო თბილისური გაგებით გადატრიალება და როცა რუსთაველის პროსპექტზე საბრძოლო მოქმედებები მიმდინარეობდა, არცთუ ძალიან მოშორებით, თითქმის მეზობელ უბნებში, ადამიანები სხვა ცხოვრებითაც ცხოვრობდნენ. მაგრამ ისინიც კი, მაინც მოდიოდნენ ხოლმე რუსთაველზე ნამდვილი ომის სანახავად და თბილისის ომს გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავდა, ვიდრე მონაწილე... საერთაშორისო ვითარებაც ზუსტად ისეთი იყო, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, როცა შენს ქვეყანას ნგრევისთვის თვითონვე იმეტებ და მერე სხვების დახმარებას ელოდები."

წყარო: ტურაშვილი, დ. (2012) იყო და არა იყო რა: 1987-1991. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

წყარო 3

ლევან ბერძენიშვილი, მწერალი, ყოფილი დისიდენტი, ოპოზიციის მომხრე

„სამწუხაროდ, მისი პრეზიდენტობის დროს მოხდა სამოქალაქო ომიც. ორად გახლეჩილი საზოგადოების ერთ ნაწილს ზვიად გამსახურდიას მიმართ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. თუმცა, ვფიქრობ, ზვიად გამსახურდიას მიმართ ისტორია აუცილებლად კეთილგანწყობილი იქნება. რა თქმა უნდა, მას არ დაუვიწყებენ შეცდომებს, არ დაივიწყებენ იმას, რომ მის დროს მოხდა სამოქალაქო დაპირისპირება, რომელშიც შეუძლებელია რომელიმე მხარე დამნაშავე არ იყოს... ზვიად გამსახურდიასთვის 'მთავარი და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საქართველოს დამოუკიდებლობა იყო!' იგი მხოლოდ ამ იდეით იყო შეპყრობილი და ამიტომაც ვერ ხედავდა ამ იდეისკენ მიმავალ ისეთ გზებს, როგორიც იყო - ჯერ თავისუფლება, შემდეგ დამოუკიდებლობა; ჯერ ადამიანის უფლებები, შემდეგ დამოუკიდებლობა და სხვ. მისთვის პირველ ადგილას იდგა საქართველო და საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ მის გონებაში წაშალა ყველა სხვა იდეა!"

წყარო: ბერძენიშვილი, ლ. (2022) 1921-1990 *ეროვნული კაცის და ქვეყნის ამბავი*. თბილისი: გამომცემლობა "არტანუჯი".

წყარო 8

რევაზ მიშველაძე, მწერალი, ოპოზიციის მომხრე

„თურმე რა საოცარ დროში ვცხოვრობ. თორმეტი დღეა თბილისში ნამდვილი ომია ქართველებს შორის. იქნებ მოსკოვი ხელმძღვანელობს ამ ოპერაციას? დაიღუპა სამასამდე და დაიჭრა ხუთასამდე კაცი. დანგრეულია რუსთაველის პროსპექტზე ყველა ლამაზი შენობა. დაიწვა ბანკი, პირველი სკოლა, სასტუმრო 'თბილისი', მხატვრის სახლი . . ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს ზვიად გამსახურდიას გადადგომას. ზვიადი ჯიუტად ებღაუჭება პრეზიდენტის სკამს. იღუპება საქართველო. დამნაშავე მაინც ოპოზიციაა. ზვიადს, მიუხედავად შეცდომებისა, ისტორია გაამართლებს."

წყარო: მიშველაძე, მ. (2013) *ოცდახუთი მეხსიერებანი წელი*. თბილისი: გამომცემლობა პალიტრა L.

სამოქალაქო ომი ქართულ სასკოლო სახელმძღვანელოებში

წყარო ა

‘საქართველოს ისტორია’, მე-11 კლასის სახელმძღვანელო

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის შექმნა საქართველოს გარეშე მოხდა. რუსეთმა ვერ შეძლო საქართველოს ეროვნული ხელისუფლება კომპრომისზე დაეყოლიებინა. ცხადია, თანამეგობრობის შექმნის შემდეგ საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთი საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობას არ გამოიჩენდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სივრცეში საქართველოს ხელისუფლება მხარდაჭერას ვერ მიიღებდა. საგარეო გართულება გახდა ნიშანი საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ ოპოზიციის ხელახალი გამოსვლისა. ოპოზიციის გააქტიურება უნდა დაწყებულიყო მანამ, სანამ საქართველოს დამოუკიდებლობას მსოფლიოს ქვეყნები აღიარებდნენ, რადგან აღიარება განამტკიცებდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას. თბილისში რუსეთის თანადგომითა და პრაქტიკული დახმარებით იმედმიცემული ოპოზიციის შეიარაღებული გამოსვლა 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო. 1991 წლის დეკემბრის ბოლოსა და 1992 წლის იანვრის დამდეგს დედაქალაქში მიმდინარე ბრძოლების შედეგად პუტჩისტებმა დაამხეს კანონიერი ხელისუფლება. პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებთან ერთად, ჯერ სომხეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა თავი. ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი). თბილისში 1991 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენებს ბევრი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში.

წყარო: ვაჩნაძე, მ. & გურული, ვ. (2004) საქართველოს ისტორია. თბილისი: გამომცემლობა “არტანუჯი”, გვ.175-176.

წყარო ბ

‘უახლესი ისტორია’, მე-12 კლასის სახელმძღვანელო

საქართველოს ეროვნული ხელისუფლების ძალით დამხობა მოსკოვში 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ დაიგეგმა. 1991 წლის 22 დეკემბერს ოპოზიციურმა ძალებმა, საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარების მხარდაჭერითა და დახმარებით, დაიწყეს შეტევა პარლამენტის შენობაზე. 1992 წლის 6 იანვრამდე თბილისში, მთავრობის სახლის მიდამოებში, მიმდინარეობდა ბრძოლები

ოპოზიციასა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის. [...]

1991 წლის დეკემბერსა და 1992 წლის იანვარში თბილისში სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო კანონიერი ხელისუფლება. სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო დაპირისპირებას ქვეყანაში. დევნილი ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები აგრძელებდნენ ბრძოლას.

წყარო: აბდალაძე, გ., კვიტაიშვილი, ნ., კუპატაძე, ბ. & ჯანუაშვილი, კ. (2008) *უახლესი ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა "საქართველოს მაცნე", გვ.291-2.

წყარო გ

მე-12 კლასის ისტორიის სახელმძღვანელო

საქართველოს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებული დაპირისპირება 1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ უკიდურესად გამწვავდა. 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისში, ამერიკელ კონგრესმენთა დელეგაციის ვიზიტის დროს, რუსთაველის გამზირზე, დაარბიეს ოპოზიციის მიტინგი. გახშირდა ანტისამთავრობო გამოსვლები. რუსთაველის პროსპექტზე ორივე მხარემ ბარიკადები აღმართა. 1991 წლის 25 სექტემბრიდან დედაქალაქში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მოვლენები შეუქცევადი გახდა. მიტინგები სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა. 1991 წლის 22 დეკემბერს ოპოზიციურმა ძალებმა, საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო ბაზებიდან მიღებული ტექნიკის და ტყვია-წამლის დახმარებით, დაიწყეს შეტევა პარლამენტის შენობაზე. ოპოზიციასა და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებს შორის ბრძოლებს უამრავი ქართველი სიცოცხლე შეეწირა. 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიამ თავის მომხრეებთან ერთად თბილისი დატოვა და ჯერ სომხეთს ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა თავი. სამხედრო ძალის გამოყენებით დაემხო კანონიერი ხელისუფლება, ძალაუფლება ხელში აიღო სამხედრო საბჭომ (ჯაბა იოსელიანი, თენგიზ კიტოვანი, თენგიზ სიგუა).

სამხედრო გადატრიალებამ დასაბამი მისცა სამოქალაქო ომს ქვეყანაში. დევნილი ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერები აგრძელებდნენ ბრძოლას. კრიზისი სულ უფრო მწვავდებოდა, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა აფხაზ და ოს სეპარატისტებს. ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის საშუალებად ქართულმა ინტელიგენციამ მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა მიიჩნია. 1992 წლის მარტში ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა. სამხედრო საბჭომ ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს გადასცა, რომლის თავმჯდომარე გახდა ედუარდ შევარდნაძე.

წყარო: აბდალაძე, გ., კუპატაძე, ბ., ახმეტელი, ნ. & მურღულია, ნ. (2012) *ისტორია - მე-12 კლასი*. თბილისი: გამომცემლობა "დიოგენე", გვ.323-4.

წყარო დ

'საქართველოს ისტორია', მე-9 კლასის სახელმძღვანელო

სამოქალაქო მოქმედება, რომელიც მხოლოდ დედაქალაქის ცენტრით შემოიფარგლა, რამდენიმე დღე გაგრძელდა. დაიღუპა 100-ზე მეტი და დაიჭრა 550-მდე ადამიანი. განადგურდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაგებობა, ტყვიებით დაიცხრილა ქაშვეთის ტაძარი, მთაწმინდაზე

მთელი საცხოვრებელი კვარტალი დაიწვა. 6 იანვარს პრეზიდენტმა, მთავრობის წევრებმა და მმართველი უმრავლესობის დეპუტატთა ნაწილმა თბილისი დატოვა. ძალაუფლებას თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ სიგუასგან შემდგარი სამხედრო საბჭო დაეპატრონა, რომელმაც ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დამხობილად გამოაცხადა, პარლამენტი დაითხოვა და კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა.

ზვიად გამსახურდიას მმართველობის დამხობა ქვეყნის ახალმა წინამძღოლებმა "დემოკრატიულ", "სახალხო რევოლუციად" მონათლეს. 1992 წლის მარტში სამხედრო საბჭომ საქართველოში ჩამოიყვანა ედუარდ შევარდნაძე, რომელიც დიდხანს საქართველოს პარტიული ლიდერი იყო, ხოლო 1985 წლიდან საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა. იგი სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობაზე აირჩიეს.

2005 წლის 11 მარტს, საქართველოს პარლამენტმა 1991-1992 წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენები შეაფასა როგორც "ანტიკონსტიტუციური შეიარაღებული სამხედრო გადატრიალება". სახელმწიფო გადატრიალებამ ქვეყანაში სამოქალაქო ომი გამოიწვია და საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესს დიდი ზიანი მიაყენა.

წყარო: ჯანელიძე, ო., თაბუაშვილი, ა., თავაძე, ლ. & ირემაშვილი, ნ. (2012) *საქართველოს ისტორია*. თბილისი: გამომცემლობა "კლიო", გვ.364.

დავალება

წაიკითხეთ ამონარიდები და უპასუხეთ კითხვებს

1 ჩამოთვალეთ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები.

2 თქვენი აზრით, როგორია სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი შეფასებები და ინტერპრეტაციები?

3 როგორ ფიქრობთ, ზოგიერთი ტექსტი მიკერძოებულია? დადებითი პასუხის შემთხვევაში დაასახელეთ ყველაზე მიკერძოებული წყარო? დაასაბუთეთ თქვენი პასუხი.

ძირითადი თარიღები

1921 – საქართველოს ოკუპაცია საბჭოთა ჯარების მიერ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჩამოყალიბება და შეყვანა საბჭოთა კავშირში 1922 წელს.

1970-იანი წლები – ამ ათწლეულში ხელახლა ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული მოძრაობა და გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. „გლასნოსტის“ და „პერესტროიკის“ პარალელურად გაჩნდა მოწოდებები დამოუკიდებლობისაკენ.

9 აპრილი, 1989 წელი – „9 აპრილის ტრაგედია“, რა დროსაც საბჭოთა ჯარებმა გაზის და იარაღის გამოყენებით ჩაახშეს ანტისაბჭოთა, დამოუკიდებლობის მოთხოვნით დაწყებული აქცია თბილისში.

9 აპრილი, 1991 წელი – „9 აპრილის ტრაგედიის“ ორი წლის თავზე საქართველოს უზენაესი საბჭო ერთხმად იღებს დამოუკიდებლობის დეკლარაციას.

18 აგვისტო, 1991 წელი – იკვეთება გამსახურდიასთან დაპირისპირების პირველი ნიშნები მას შემდეგ, რაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია ტოვებენ თანამდებობას და ოპოზიციაში ინაცვლებენ.

2 სექტემბერი, 1991 – ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ ორგანიზებული დემონსტრაციები ჯაბა იოსელიანის დაპატიმრების წინააღმდეგ რუსთაველის ძეგლთან შსს ძალებთან შეტაკებაში გადაიზარდა. სამი ადამიანი დაიჭრა ტყვიით. მძაფრდება ანტისახელმწიფოებრივი განწყობები.

11 სექტემბერი, 1991 წელი – იქამდე ერთმანეთთან ოპოზიციაში მყოფი 27 პოლიტიკური პარტია გაერთიანდა გამსახურდიას გადადგომის მოთხოვნით.

22 დეკემბერი, 1991 წელი – იწყება საქართველოს ორკვირიანი სახელმწიფო გადატრიალება.

6 იანვარი, 1992 წელი – გადატრიალდება სრულდება გამსახურდიას ჩეჩნეთში გაქცევით დაჯავშნილი მანქანით. ომის პერიოდში 107 ადამიანი დაიღუპა და 527 დაიჭრა. სამხედრო საბჭო აყალიბებს გარდამავალ მთავრობას თენგიზ სიგუას თავმჯდომარეობით.

10 მარტი, 1992 წელი – მიწვევით საქართველოში ჩამოდის საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, ედუარდ შევარდნაძე, რათა სათავეში ჩაუდგეს სახელმწიფო საბჭოს. დაახლოებით იმავე პერიოდში საქართველოში ბრუნდება გამსახურდია და ხელისუფლებაში დაბრუნებას წარუმატებლად ცდილობს.

31 დეკემბერი 1993 წელი – გამსახურდიას იდუმალ გარემოებებში გარდაცვლილს პოულობენ. გარდაცვალების მიზეზი დღემდე დაუზუსტებელია.

ომი დნესტრზე (1992)

წინაპირობა და კონტექსტი

სერჯიუ მუსტაცა,

ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტი, იონ კრეანგას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კიშინიოვი, მოლდოვის რესპუბლიკა

ომი დნესტრზე, ასევე ცნობილი როგორც დნესტრისპირეთის ომი ან ომი მოლდოვის რესპუბლიკის დამოუკიდებლობისთვის, მიმდინარეობდა 1992 წლის 1 მარტიდან 21 ივლისამდე, მაგრამ დაძაბულობა დნესტრის მარცხენა სანაპიროზე (ფართოდ, რაც ცნობილი გახდა როგორც დნესტრისპირეთი) არსებულ სადავო რეგიონსა და მოლდოვის რესპუბლიკას (საბჭოთა დროს ცნობილი როგორც „მოლდავეთი"; ოფიციალურად „მოლდოვა" 1990 წლიდან) შორის სამხედრო კონფლიქტამდე დიდი ხნით ადრე არსებობდა და დღემდე არსებობს.

1924 წლის ოქტომბრიდან 1940 წლის აგვისტომდე თანამედროვე დნესტრისპირეთის ტერიტორია, უკრაინის დღევანდელი პოდილსკის ოლქის დიდ ნაწილთან ერთად, მოლდავეთის ავტონომიური სსრ-ის ნაწილი იყო, რომელიც შედიოდა უკრაინის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში. 1940 წლის ივნისში, საბჭოთა კავშირმა ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა შეიერთა რუმინეთისგან.

1940 წლის აგვისტოში მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადდა. იგი მოიცავდა ბესარაბიის უმეტეს ნაწილს, თანამედროვე დნესტრისპირეთთან და მის დედაქალაქ ტირასპოლთან ერთად. ამგვარად, დნესტრისპირეთი, ფაქტობრივად, უკრაინიდან მოლდავეთში გადავიდა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ეს იყო გადასვლა სსრკ-ს ერთი ნაწილიდან მეორეში, ცვლილებამ ახალი მნიშვნელობა შეიძინა, როდესაც 1990 წლის სექტემბერში, სსრკ-ში მიმდინარე დაშლის პროცესის ფონზე, დნესტრისპირეთს არ სურდა დამოუკიდებელი მოლდოვის ნაწილი ყოფილიყო, თავი

სახელმწიფოდ გამოაცხადა და ასე იქცა ყოფილი სსრკ-ის ერთ-ერთ არაღიარებულ, სეპარატისტულ რესპუბლიკად.

ბესარაბიის დაპყრობის პირველივე თვეებიდან, საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო მოლდავეთის ადმინისტრაციის გასაბჭოება და იმ ადამიანების დაკავება, რომლებსაც თანამდებობები ეკავათ რუმინეთის ადმინისტრაციაში, მაგალითად, ადგილობრივი პარლამენტის წევრები, რომლებმაც ხმა მისცეს 1918 წელს ბესარაბიის რუმინეთთან გაერთიანებასა და რუმინეთის პოლიტიკური პარტიების წევრებს. დაპატიმრებულთა უმეტესობა საბჭოთა ბანაკებსა და ციხეებში გაგზავნეს, ხოლო 1941 წლის ივნისში ორგანიზებული დეპორტაციის პირველი ტალღის ფარგლებში, დაახლოებით, 20,000 ბესარაბიელი გადაასახლეს ციმბირის სხვადასხვა რეგიონსა და ყაზახეთის სსრ-ში.

მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანიის ოკუპაციის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ, საბჭოთა ადმინისტრაციამ დაიწყო კოლექტივიზაცია, 1945 წლის შემდეგ კი – დაგეგმილი ეკონომიკური მოდელების ინტენსიურად დანერგვა. ასევე გაგრძელდა რეპრესიები

და გადასახლებები. სტალინის გარდაცვალებისა და ხრუშჩოვის დროს დესტალინიზაციის შემდეგ, ბევრ ადამიანს მიეცა საშუალება დაბრუნებულიყო სახლში, მაგრამ ისინი კვლავ შეზღუდული უფლებებით სარგებლობდნენ და „ხალხის მტრებად“ ითვლებოდნენ. ახალგაზრდა ბესარაბიელების გაგზავნა მთელს საბჭოთა კავშირში განაგრძეს სამრეწველო ობიექტებში სამუშაოდ ან ჯარში გასაწევრიანებლად და საბრძოლველად, მაგალითად, 1980-იან წლებში ავღანეთის ომის დროს.

გორბაჩოვის დროს მოხდა მოლდავეთის საზოგადოების ლიბერალიზაცია: პერესტროიკამ და გლასნოსტმა ნიადაგი მოამზადა ნაციონალისტური მოძრაობებისთვის, რომლებიც ჩაახშეს წინა საბჭოთა ლიდერების დროს და რუმინული კულტურული და ისტორიული ფასეულობები კიდევ ერთხელ დაწინაურდა რეგიონში. თუმცა ზოგიერთმა, განსაკუთრებით დნესტრის მარცხენა სანაპიროზე მყოფებმა, რუმინეთთან შესაძლო გაერთიანება საშიშროებად აღიქვა. დაძაბულობა განსაკუთრებით გაიზარდა 1980-იანი წლების ბოლოს, როდესაც ლათინური ანბანი ოფიციალურად მიიღეს მოლდავეთის სსრ-ში, მოლდავური კი ოფიციალურ ენად. 1990 წლის სექტემბერში დნესტრისპირეთმა თავი საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა - ისევე როგორც გაგაუზიის რეგიონმა. გორბაჩოვი ცდილობდა შეენარჩუნებინა მთელი მოლდავეთის სსრ, ასევე სსრკ-ის შემადგენლობაში, მაგრამ მისი ამოცანა გართულდა, რადგან თავად სსრკ სასიკვდილო ჩიხში აღმოჩნდა.

სსრკ-ის შენარჩუნების მცდელობისას გორბაჩოვმა მოიფიქრა „ახალი კავშირის ხელშეკრულება“, რომელსაც ხელი მოაწერა ყველა რესპუბლიკამ. თუმცა, მოლდავეთის სსრ იმდროინდელმა ხელმძღვანელობამ, კავკასიისა და ბალტიისპირეთის სხვა რესპუბლიკებთან ერთად, არ მიიღო მონაწილეობა ხელშეკრულების შედგენაში და ბოიკოტი გამოუცხადა შემდგომ რეფერენდუმს, რომელიც ჩატარდა 1991 წლის მარტში და მიზნად ისახავდა პროექტის მხარდაჭერას. 1990 წლის მარტში, ერთი წლით ადრე, ლიტვას უკვე გამოცხადებული ჰქონდა სსრკ-ისგან დამოუკიდებლობა და ამან კიდევ უფრო წაახალისა ეროვნული ემანსიპაციის მოძრაობები სხვა რესპუბლიკებში. 1991 წლის დასაწყისში მოლდოვაში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა და ივნისში ახლად არჩეულმა მოლდოვის პარლამენტმა სუვერენიტეტი გამოაცხადა. ამან გამოიწვია დნესტრის მარცხენა სანაპიროს პარლამენტის დეპუტატების მიერ მანდატის დატოვება, რადგან მათ ეს ქმედება ზედმეტად პრორუმინულად ან ანტისაბჭოურად მიიჩნიეს.

რთული იყო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს კონსოლიდაცია ორი სეპარატისტული რეგიონის გამო, რასაც ჯერ კიდევ მოსკოვი უჭერდა მხარს. გაგაუზიის საქმე მშვიდობიანად გადაწყდა მოლდოვის შემადგენლობაში ავტონომიური რეგიონის შექმნით,

მაგრამ ტირასპოლში, ეთნიკური დაძაბულობის, მოლდოვის, როგორც აგრესორი სახელმწიფოსა და რეგიონის რუმინიზაციის შესახებ ნარატივების გაგრძელებით 1990-იანი წლების დასაწყისში დნესტრისპირეთის საკითხი სამხედრო კონფლიქტში გადაიზარდა.

დნესტრისპირელი ისტორიკოსების აზრით, კიშინიოვმა ომი

დაიწყო ქალაქ დუბესარსა და ბენდერზე თავდასხმით, სადაც ადრე იყო მცირე შეტაკებები მოლდავეთის პოლიციასა და დნესტრისპირეთის მილიციას შორის (Yakovlev, 1993; Valovoy, 1993; Rudenko, 1995; Babilunga & Bomeshko, 1998, 2005). სხვა წყაროები ამტკიცებენ, რომ კონფლიქტი პროვოცირებული იყო ადგილობრივი სეპარატისტული ჯგუფების მიერ, რომლებსაც რუსული არმიის კაზაკები უჭერდნენ მხარს.

უდავოა ის ფაქტი, რომ სეპარატისტულ ძალებს სამხედრო მხარდაჭერას მე-14 რუსული არმია უწევდა, რომელიც იქ საბჭოთა პერიოდიდან იყო განლაგებული (Cerba, 2016; Gribincea, 2020). ომს მსხვერპლი მოჰყვა დნესტრის ორივე მხარეს, განადგურდა სოფლები და საქალაქო უბნები, ათასობით ადამიანი გახდა დევნილი. საომარი მოქმედებები დასრულდა 1992 წლის 21 ივლისს, მოსკოვში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერით მოლდოვის პრეზიდენტს, მირჩა სნეგურსა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს, ბორის ელცინს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ შეთანხმების ხელმოწერიდან 30 წელზე მეტი გავიდა, ომისა და მისი მოგვარების საკითხი მაინც ღია თემად რჩება საზოგადოებაში. ომი გრძელდება მედიაში, სკოლებსა და კოლექტიურ მეხსიერებაში (Serebrian, 2024). სამხედრო კონფლიქტის დასრულებისშემდეგ,ტირასპოლისადმინისტრაციამშექმნასაკუთარი



მოლდოვისა და დნესტრისპირეთის (წითელი) რუკა. ნარინჯისფერი უბნები დნესტრისპირეთის ნაწილია, მაგრამ მოლდოვის იურისდიქციის ქვეშაა. File:Transnistria in Moldova (de-facto) (semi-secession).svg. Autor: TBUS, Wikimedia Commons, CC BY-SA 3.0, https://en.wikipedia.org/wiki/Transnistria#/media/File:Transnistria_in_Moldova_(de-facto)_(semi-secession).svg, წვდომა 2024 წლის 29 იანვარს.

სამთავრობო, სამხედრო, საბანკო და საგანმანათლებლო სისტემები და ა.შ. მოლდოვის რესპუბლიკასთან მშვიდობიანი გადაწყვეტისა და ტერიტორიული გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებები წარუმატებელი აღმოჩნდა, ტირასპოლის ადმინისტრაცია კვლავ ინარჩუნებს დამოუკიდებლობის სურვილს.

რუსეთმა 1995 წელს განაცხადა, რომ დნესტრისპირეთს დატოვებდა თავისი არმია შესაბამისი აღჭურვილობით, მაგრამ ეს პროცესი გაურკვეველი დროით „ჭიანურდება". გაეროს, ევროპის საბჭოს, ეუთოსა და ევროკავშირის სხვადასხვა შეხვედრაზე მოლდოვის რუსეთის მიმართ მიმართვამ არ შეცვალა სიტუაცია, მიუხედავად იმისა, რომ დნესტრისპირეთი არ იქნა აღიარებული საერთაშორისო ასპარეზზე. ამდენად, კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის კონფლიქტური მდგომარეობა აქტუალური რჩება, ხოლო რუსეთის ომმა უკრაინის წინააღმდეგ კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია რეგიონში, რაც ამძაფრებს შეშფოთებას რეგიონში მოსკოვის ტერიტორიული ამბიციების შესახებ.

მოლდოვის საზოგადოება კვლავაც გაყოფილია, როგორც ტერიტორიულად, ისე კონცეპტუალურად. ომები საზოგადოების ყველაზე მგრძნობიარე და საკამათო თემაა. ურთიერთგამომრიცხავი დისკურსი, სიძულვილის ენა და ურთიერთბრალდებები არის იმ ელემენტებს შორის, რომლებიც განსაზღვრავს მოლდოვაში 1992 წლის ომის საკითხს. ეს გულისხმობს იმას, რომ სკოლებში ამ თემას საკმარისად არ განიხილავენ. ანატოლ კროიტორუ, ომის ვეტერანი, ამბობს, რომ „ბავშვებს ასწავლიან ყველა ომს, მაგრამ არა ომს ჩვენი დამოუკიდებლობისთვის" (Serebrian, 2024). მეორე მხრივ, დნესტრისპირეთში ომი არის ერთ-ერთი ძირითადი ისტორიული ნარატივი, რომელიც ასახულია სასკოლო სახელმძღვანელოებში (Musteaţă, 2021).

აქ წარმოდგენილ საგაკვეთილო გეგმაში წყაროების კრიტიკული ანალიზი და საერთო დაბალანსებული მიდგომა მიზნად ისახავს 1992 წლის მოვლენების უკეთ გააზრებას, ასევე, დნესტრის ორივე მხარისთვის ტოლერანტობისა და გაგების მნიშვნელობის ჩვენებას. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად, კიშინიოვისა და ტირასპოლის ხელისუფლება უნდა შეთანხმდნენ საერთო სასწავლო გეგმაზე და გამორიცხონ რუსული ისტორიული ნარატივები და სახელმძღვანელოები დნესტრისპირეთის სკოლებიდან, რაც დამოუკიდებელი და ხარისხიანი განათლების ხელშეწყობის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია. ანალოგიურად, არ უნდა ისწავლებოდეს თემები, რომლებიც ხელს უწყობს სიძულვილისა და უნდობლობის დისკურსს. არსებული მდგომარეობის შენარჩუნება კიდევ უფრო შეაფერხებს გაერთიანების შესაძლებლობასა და ჭეშმარიტად დემოკრატიული საზოგადოების განვითარებას.

მგრძნობიარე და საკამათო თემების კრიტიკული გზით სწავლება პირდაპირ აისახება ახალგაზრდა თაობის განათლებაზე, რომელიც შეძლებს დაძლიოს სიძულვილის ენა, რომელსაც ამჟამად იყენებს ტირასპოლის სეპარატისტული რეჟიმი. ხარისხიანი განათლება ნიშნავს დემოკრატიული ღირებულებებისა და კანონის უზენაესობის ხელშეწყობას სკოლებში, დნესტრის ორივე მხარეს, ხოლო ისტორიულმა განათლებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს მდგრადი მშვიდობისთვის, სახელმწიფოს გაერთიანებისა და მოლდოვის რესპუბლიკის ევროკავშირში ინტეგრაციისთვის.

წყაროები

Babilunga, N. V. & Bomeshko, B. G. (1998). *Приднестровский конфликт: исторические, демографические, политические аспекты* [დნესტრისპირეთის კონფლიქტი: ისტორიული, დემოგრაფიული და პოლიტიკური ასპექტები]. Tiraspol: RIO PGU.

Babilunga, N. B. & Bomeshko, B. G (2005). *История родного края. Учебник для обшеобразовательных учебных заведений, 8-9 классы* [ჩვენი სამშობლოს ისტორია. სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, მე-8 და მე-9 კლასები]. Tiraspol: РИО ГИПК.

Cerba, V. (2016). 'Analiza juridică și consecințele semnării Acordului moldo-rus sin 1992 de încetarea a focului la Nistru: problemele existemte în procesul de reglementare a deferendului transnistrean' [1992 წლის მოლდოვა-რუსეთის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის სამართლებრივი ანალიზი და შედეგები: პრობლემები დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების პროცესში], *Legea și viața,* 4(11).

Gribincea, M. (2020). *Trupele ruse de ocupație în Republica Moldova (culegere de documente și materiale)* [რუსეთის საოკუპაციო ჯარები მოლდოვის რესპუბლიკაში (დოკუმენტებისა და მასალების კრებული)], vol. I. Chișinău: Editura Cartier.

Musteaţă, S. (2021). 'Evenimentele din 1992 în manualul de istorie din școlile transnistrene' [1992 წლის მოვლენები ისტორიის სახელმძღვანელოებში დნესტრისპირეთის სკოლებში], *Plural. History. Culture. Society,* 9(2), p. 215-236, available online: https://plural.upsc.md/wp-content/uploads/2021/11/15_Sergiu-Musteata.pdf, წვდომა 2024 წლის 14 თებერვალს.

Rudenko, N. P. (1995). *Дубоссары – город защитников ПМР* [დუბასარი - დნესტრისპირეთის დამცველთა ქალაქი]. Dubăsari.

Serebrian, O. (2024). 'The Invisible War: Past and present bilateral perception of the 1992 military conflict in the East of the Republic of Moldova' [უხილავი ომი: 1992 წლის სამხედრო კონფლიქტის წარსული და აწმყო ორმხრივი აღქმა მოლდოვის რესპუბლიკის აღმოსავლეთში]. *Confronting Memories*. [Forthcoming].

Valovoy, G. P. (1993). *Кровавое лето в Бендерах: Хроника приднестровской трагедии* [სისხლიანი ზაფხული ბენდერში: დნესტრისპირეთის ტრაგედიის ქრონიკა]. Bender: Poligrafist.

Yakovlev, V. N. (1993). *Тернистый путь к справедливости* [სამართლიანობისკენ მიმავალი ეკლიანი გზა]. Tiraspol: IPP Tipar.

სასწავლო აქტივობა

დნესტრზე ომის გავლენა მოლდოვის რესპუბლიკაზე

ავტორები	ალექსანდრუ სეი, მიჰაი ემინესკუს ლიცეუმი, ედინეტი, მოლდოვის რესპუბლიკა მარია სმირნოვა, ტვარდიცას ლიცეუმი, ტვარდიცა, მოლდოვის რესპუბლიკა მარია სტეპანიანცი, კონსტანტინ სტერეს ლიცეუმი, სოროკი, მოლდოვის რესპუბლიკა ვერა ბალანი, პეტრუ შტეფანუკეს ლიცეუმი, ლალოვენი, მოდლოვის რესპუბლიკა სერჯიუ სუვაკი, ჩიშმეას გიმნაზია, ჩიშმეა, მოლდოვის რესპუბლიკა

ასაკი	15-16 წელი
მთავარი შეკითხვა	რა შედეგები მოჰყვა დნესტრზე ომს მოლდოვის რესპუბლიკისთვის?

სასწავლო აქტივობა დაკავშირებულია დნესტრზე ომის (1992) ან დნესტრისპირეთის ომის სხვადასხვა შედეგთან მოლდოვის რესპუბლიკაში 1992 წლიდან. მოსწავლეები აღმოაჩენენ, რომ ომმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე, რაც გრძელდება დღემდე დნესტრის ორივე მხარეს. პედაგოგიური მიდგომა მოიცავს მუშაობას წერილობით ისტორიულ წყაროებთან, სურათებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ პოზიციებთან და ისტორიულ მოწმეებთან. ის ასევე ეფუძნება ეროვნულ სასწავლო ხედვას ისტორიული წარსულის კონსოლიდაციისა და დემოკრატიული ღირებულებების სწავლების მიზნით.

სწავლების შედეგები

მოსწავლეები შეძლებენ:

- ახსნან, დნესტრზე ომმა რა გავლენა მოახდინა მოლდოვის რესპუბლიკაზე.
- შეაფასონ ომის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სოციალური გავლენა მოლდოვის რესპუბლიკის განვითარებაზე.
- ომსა და სხვა ისტორიულ მოვლენებზე დეზინფორმაციისა და არასწორი ინტერპრეტაციის ამოცნობასა და კრიტიკული უნარების გამომუშავებას.
- ომის შედეგების ინტერპრეტაციას საზოგადოებასთან.

პედაგოგიური რეკომენდაციები

სასწავლო აქტივობა შექმნილია იმის გათვალისწინებით, რომ დნესტრზე ომის შესახებ ძირითადი ცოდნა, მათ შორის მისი ქრონოლოგია, მიზეზები, სხვადასხვა მხარე და ძირითადი პიროვნებები, უკვე შესწავლილია. ამრიგად, გაკვეთილი ყურადღებას ამახვილებს ომის შედეგებზე და არა მიზეზებზე. მიდგომა შექმნილია იმისთვის, რომ აჩვენოს ომის გავლენა პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და კულტურაზე, მოკლე და გრძელვადიან პერსპექტივაში, მოლდოვის რესპუბლიკაში, მათ შორის დნესტრისპირეთში. საგაკვეთილო აქტივობის პერსპექტივა ეროვნულია, მაგრამ მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია ადგილობრივი ხედვითაც, განსაკუთრებით სამხედრო ოპერაციებთან ახლოს მდებარე ან ომით უშუალოდ დაზარალებულ რეგიონებში.

აქტივობები

I ეტაპი

თემის შესავალი	5 წუთი

მასწავლებელი აჩვენებს მოლდოვის ამჟამინდელი ტერიტორიული დაყოფის რუკას. მოსწავლეები მასწავლებელთან ერთად იღებენ დროის მოკლე მონაკვეთს, რომელზეც აღნიშნავენ ძირითად გარდამტეხ მომენტებს, რამაც გავლენა მოახდინა ასეთი ტერიტორიული დაყოფის ჩამოყალიბებაში 1989-1994 წლებში.

Молдовский административно-политический рукав. File:Moldova_harta_administrativa.png, Wikimedia Commons, CC-BY 4.0, https://ro.m.wikipedia.org/wiki/Fi%C8%99ier:Moldova_harta_administrativa.png, წვდომა 2023 წლის 11 ნოემბერს.

II ეტაპი:

წყაროზე მუშაობა ჯგუფებში 25 წუთი

მოსწავლეები იყოფიან 3 ჯგუფად და თითოეულს ეძლევა წყაროები წასაკითხად და გასაანალიზებლად (იხ. დანართი I). ჯგუფები ერთდროულად მუშაობენ დავალებების შესრულებისთვის 10 წუთის განმავლობაში, ასევე ქვემოთ მოცემულ კითხვებზე. შემდეგ კი თითოეულ ჯგუფს აქვს 5 წუთი, რათა შეაჯამოს წყაროები და წარუდგინოს ნამუშევარი სხვებს.

ჯგუფი 1

პოლიტიკური გავლენა

1 ცხრილში ჩაწერეთ მოლდოვისა და დნესტრისპირეთის პოზიციები, ომის შესახებ არსებული წყაროების მიხედვით;

2 შეაფასეთ ომის პოლიტიკური გავლენა მოლდოვის რესპუბლიკაზე. დაწერეთ თქვენი ხედვა.

ჯგუფი 2

ეკონომიკური გავლენა

1 ყურადღებით გააანალიზეთ წყაროები და მონიშნეთ ინფორმაცია ქვემოთ შემოთავაზებული მითითებების მიხედვით:

√ ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს თქვენს ცოდნას

- ინფორმაცია, რომელიც ეწინააღმდეგება/განსხვავდება თქვენი ცოდნისგან

+ ინფორმაცია, რომელიც თქვენთვის ახალია

? ინფორმაცია, რომელიც გაურკვეველია და საჭიროებს განმარტებას

2 დაადგინეთ დნესტრზე ომის გავლენა ორივე მონაწილე მხარის ეკონომიკაზე

ჯგუფი 3

კულტურული გავლენა

1 ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელმა რა საკითხებმა გამოიწვია (გაამწვავა) ომი?
2 ყოველდღიური ცხოვრების რომელ ასპექტებზე ახდენს გავლენას ამ რეგიონში დამწერლობის საკითხი (ლათინური ან კირილიცა)?
3 თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია გარკვეული ჯგუფისთვის მშობლიურ ენაზე სწავლის ხელმისაწვდომობა? რამდენად აყალიბებს განათლება ადამიანის იდენტობას?
4 წყაროების მიხედვით, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას რუმინულენოვანი სკოლები დნესტრისპირეთში? როგორ შეიძლება მათი მოგვარება?

ეტაპი III

ბრეინსტორმინგი 10 წუთი

კლასი ერთად მუშაობს მასწავლებლის ხელმძღვანელობით, რომელიც დაფაზე ხაზავს 3 წრეს შემდეგი სათაურებით: „პოლიტიკური შედეგები“, „ეკონომიკური შედეგები“ და „კულტურული შედეგები“.

მოსწავლეებმა თავიანთი ცოდნისა და გაკვეთილზე მიღებული ინფორმაციის გამოყენებით უნდა ჩამოაყალიბონ მოკლე ჰეშთეგები ომის შედეგების ასახსნელად სამივე სფეროში. მასწავლებელი კი წერს მათ შესაბამის წრეებში.

ეტაპი IV

რეკომენდებული საშინაო დავალება 5 წუთი

მოსწავლეებს სთხოვენ ინტერვიუს ოჯახის წევრებთან დნესტრზე ომის შესახებ.

მასწავლებელს შეუძლია შესთავაზოს რამდენიმე გზამკვლევი

კითხვა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მოითხოვონ განმარტებები/დამატებითი ინფორმაცია მიღებული პასუხების მიხედვით. აქტივობის საშუალებით მოსწავლეებმა უნდა გამოიკვლიონ ომის აღქმა სხვადასხვა სოციალური, პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფის მიერ. მოსწავლეებს შეუძლიათ გამოკითხონ ის ადამიანებიც, რომლებმაც იციან, რომ დაკავშირებული არიან მოვლენასთან. კითხვები შეიძლება მოერგოს ოჯახურ/ადგილობრივ კონტექსტს. აქტივობა უზრუნველყოფს, რომ მოსწავლეებმა უფრო ფართოდ განიხილონ საკითხი საკლასო სივრცის გარეთ.

შეფასება

მეორე ეტაპზე მოსწავლეებს ეძლევათ კითხვები და დავალებები. კითხვებზე პასუხის გაცემისა და ამოცანების შესრულებისას მოსწავლეები გამოიყენებენ სწავლის სხვადასხვა მეთოდს, რომელიც ორიენტირებულია მსჯელობაზე, კრიტიკულ აზროვნებასა და წყაროების შეფასებაზე.

საშინაო დავალება შედგენილია ისეთი ფორმით, რომ მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პერსპექტივით განიხილონ ერთი და იგივე მოვლენა და წარმოადგინონ მულტიპერსპექტიული მიდგომის გამოყენებით.

ლექსიკონი

1992 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება – მოლდოვის რესპუბლიკისა და რუსეთის ფედერაციის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტას და აღნიშნავს სამხედრო კონფლიქტის დასასრულს.

დნესტრის მარცხენა მხარე – დნესტრისპირეთის მოხსენიების კოლოქური გზა. მდებარეობს მდინარე დნესტრის მარცხენა ნაპირზე (მდინარის დინების ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებისკენ).

დაგეგმილი ეკონომიკა– ეკონომიკური სისტემა, რომლითაც სახელმწიფო მართავს ეკონომიკას და იღებს ყველა გადაწყვეტილებას საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან, განაწილებასა და მოხმარებასთან დაკავშირებით.

Promo-LEX – არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს დემოკრატიის განვითარებას მოლდოვის რესპუბლიკაში, მათ შორის დნესტრისპირეთში, ადამიანის უფლებების ხელშეწყობითა და დაცვით, დემოკრატიული პროცესების მონიტორინგითა და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებით. Promo-LEX დაარსდა 2002 წელს და არის არაკომერციული და პოლიტიკურად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელიც მოქმედებს ქვეყნის მასშტაბით.

სეპარატიზმი – მოძრაობა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ან ავტონომიური რეგიონის შესაქმნელად.

წყაროები

ჯგუფი 1 პოლიტიკური გავლენა

წყარო ა

მირჩა სნეგური, მოლდოვის რესპუბლიკის პრეზიდენტი 1990-96 წლებში, ქვეყნის პოზიციის შესახებ ომთან დაკავშირებით

„მათ, ვინც შეგნებულად დაიწყო ეს კონფლიქტი, არ სურდა მოლდოვის რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება, მათ არ სურდათ მოლდოვის გაეროში გაწევრიანება. ჩვენ არ გვინდოდა ეს ომი. პირიქით, ჩვენ უზარმაზარ ძალისხმევას ვდებდით უთანხმოებებისა და გაუგებრობების მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად. ღმერთი და ისტორია ჩვენი მოწმეები არიან. სამწუხაროდ, მათ არ მოგვისმინეს, ვერ გაგვიგონეს და ომი აირჩიეს. ჩვენ არ შეიძლება ვიყოთ ადგილობრივი ბანდიტებისა და რუსეთიდან მომდინარე დანაშაულების უბრალო დამკვირვებლები.”

წყარო: Noi.md (2015) ‘Mircea Snegur: Conflictul de pe Nistru a fost provocat de separatiști cu sprijinul Rusiei’ [მირჩა სნეგური: დნესტრზე კონფლიქტი რუსეთის მხარდაჭერით პროვოცირებული იყო სეპარატისტების მიერ], 3 March, https://noi.md/md/news_id/57156, წვდომა 2023 წლის 4 ოქტომბერი.

წყარო ბ

ამონაწერი 1992 წლის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებიდან[1]

„2.2 კომიტეტის[2] მუშაობაში მონაწილე თითოეული მხარე ნიშნავს კომიტეტში თავის წარმომადგენლებს. საკონტროლო კომიტეტი დაფუძნდება ქალაქ ბენდერში.

2.3 ზემოაღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში, საკონტროლო კომიტეტს ექვემდებარება სამხედრო კონტინგენტები, რომლებიც ნებაყოფლობით უნდა ჩამოყალიბდნენ და წარმოადგენენ მხარეებს, რომლებიც მონაწილეობენ ამ შეთანხმებაში. ამ კონტინგენტების განლაგება და მათი გამოყენება კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით უნდა მოხდეს საკონტროლო კომიტეტის გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც მიიღება კონსენსუსის საფუძველზე. სამხედრო კონტინგენტების რიცხობრივი ოდენობა და სტატუსი, კონფლიქტის ზონაში მათი განთავსებისა და გასვლის პირობები დგინდება ცალკე ოქმით.”

1
1992 წლის 21 ივლისს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ხელი მოეწერა რუსეთის ფედერაციის მე-14 არმიის მძიმე შეიარაღებით აქტიურად ჩართვის კონტექსტში დნესტრზე ომის დროს.

2
2.1 მუხლის თანახმად, ერთობლივი საკონტროლო კომიტეტი შედგება სამი მხარის წარმომადგენლისგან - მოლდოვის რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია და უკრაინა, რომლებიც მონაწილეობენ მორიგებაში.

წყარო: United Nations Security Council (1992) ‘Agreement on the Principles for a Peaceful Settlement of the Armed Conflict in the Dniester Region of the Republic of Moldova’ [მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრის რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პრინციპების შესახებ შეთანხმება], 21 August, https://peacemaker.un.org/sites/peacemaker.un.org/files/MD%20RU_920000_AgreementPrinciplesPpeacefulSettlementDniestrConflict.pdf, წვდომა 2023 წლის 28 ნოემბერს.

წყარო გ

ლეონიდ მანაკოვის, რუსეთის ფედერაციაში დნესტრისპირეთის პოლიტიკური წარმომადგენლის პოზიცია, 2022 წ.

„მოვუწოდებ საერთაშორისო თანამეგობრობას, ძალისხმევა გამოიჩინოს დნესტრისპირეთში მოლდოვის ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებების დარღვევის აღსაკვეთად. ჩვენ ვთხოვთ ადამიანის უფლებათა საბჭოს ადეკვატურად შეაფასოს მოლდოვის მხრიდან დესტრუქციული მიდგომა და წვლილი შეიტანოს კიშინიოვის მიერ დნესტრისპირეთთან ადრე გაფორმებული ყველა შეთანხმების მკაცრად დაცვაში.”

წყარო: Newsmaker (2022) ‘Leonid Manakov accused Moldova at the UN of violating human rights in Transnistria’ [ლეონიდ მანაკოვმა გაეროში მოლდოვა დაადანაშაულა დნესტრისპირეთში ადამიანის უფლებების დარღვევაში], 6 October, https://newsmaker.md/ro/leonid-manakov-a-acuzat-moldova-la-onu-de-incalcarea-drepturilor-omului-in-transnistria/, წვდომა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

წყარო დ

დნესტრზე ომის შესახებ დნესტრისპირეთის ისტორიის სახელმძღვანელო

„საკუთარ ძალებში დარწმუნებულმა რუმინელებმა დაიწყეს მზადება მოლდოვის რუმინეთთან გაერთიანებისთვის. მათი ზეწოლით, 1990 წლის 23 ივნისს, პარლამენტმა დაამტკიცა სუვერენიტეტის დეკლარაცია, რომელიც აცხადებდა 1940 წლის 2 აგვისტოს აქტის არალეგიტიმურობას მოლდოვური სსრ-ის შექმნასთან დაკავშირებით, რაც, როგორც ჩანს, იყო რუმინეთის ტერიტორიების, ბესარაბიისა და ჩრდილოეთ ბუკოვინის „საბჭოთა ოკუპაციის“ შედეგი. ამ დეკლარაციის გამოცემით, რესპუბლიკა გაუქმდა იმ ფორმით, რომლითაც 50 წლის განმავლობაში არსებობდა. დნესტრისპირეთმა მოიპოვა თვითგამორკვევის აბსოლუტურად ლეგიტიმური უფლება, რადგან ის აღარ იყო მოლდოვური სსრ-ის ნაწილი.”

წყარო: Source: Бабилунга Н. В. & Бомешко Б. Г. (2005). *История родного края: Учебник для общеобразовательных учебных заведений.* 8-9 кл. [მშობლიური მიწის ისტორია: სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, 8-9 კლასები], Тирасполь: РИО ГИПК, p.283.

ჯგუფი 2 ეკონომიკური გავლენა

წყარო ა

მოსაზრებები ეკონომიკის ფუნქციის შესახებ მოლდოვურ სსრ-სა და დნესტრისპირეთში

’ისტორია გვასწავლის, რომ ისტორიიდან არაფერს ვსწავლობთ’. ზოგჯერ მახსენდება გერმანელი ფილოსოფოსის გ. ვ. ფ. ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებული ეს პარადოქსი, როდესაც ვფიქრობ მოლდოვის წარსულსა და აწმყო პრობლემებზე და მისი ლიდერების პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე. 1980-იანი წლების დასასრული გარდამტეხი იყო აღმოსავლეთ ევროპის ყველა სახელმწიფოსთვის. მთელს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ცხოვრებას მოლდავურ სსრ-სა და დნესტრისპირეთში მაქსიმალურად აკონტროლებდა მოსკოვი, ასრულდება მხოლოდ მოსკოვის ცენტრალური ორგანოებიდან მიღებულ დირექტივებს; ამ ეკონომიკურ მოდელს დღეს მართულ/გეგმურ ეკონომიკას უწოდებენ.”

წყარო: Nistor, E. (2017) ‘Războiul de pe Nistru: cauze, actori, consecințe’ [დნესტრის ომი: მიზეზები, აქტორები, შედეგები], *Geopolitics, History and Population in Eastern Europe*, 10(1), pp.101-111, https://studium.ugal.ro/ARTICOLE_STUDIUM/ARTICOLE%20STUDIUM%2010-S1/1010%20-%20S1%20-%20NISTOR.pdf, წვდომა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

წყარო ბ

სტატისტიკა დნესტრის ორივე მხარეს ომის ეკონომიკური გავლენის შესახებ.

„შეიარაღებულმა კონფლიქტმა გამოიწვია ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება დნესტრის ორივე მხარეს და ხელი შეუწყო 1990 წელს დაწყებული ეკონომიკური კრიზისის გაღრმავებას. მთლიანი მთლიანი შიდა პროდუქტი (დნესტრის ორივე მხარეს წარმოებული) 1992 წელს შემცირდა 29%-ით (1991 წელს 17%-ით; 1993 წელს 1%-ით). სამრეწველო წარმოების მთლიანი მოცულობა შემცირდა 27%-ით (1991 წელს 11%-ით; 1993 წელს შემცირება არ დაფიქსირებულა); გადაზიდული საქონლის მოცულობა 51%-ით შემცირდა.

დნესტრისპირეთის რეგიონში პარალიზებული იყო მრავალი საწარმოს საქმიანობა კონფლიქტის ზონაში ნგრევისა და ზოგადი ეკონომიკური დესტაბილიზაციის გამო, განსაკუთრებით ქალაქებში ბენდერსა და დუბესარში.

დნესტრისპირეთის მხარის მონაცემებით, სულ განადგურდა ან დაზიანდა 218 სამრეწველო, სატრანსპორტო და სამშენებლო საწარმო (მათ შორის 46 საწარმო ბენდერში), დაზიანდა 8 კმ საკაბელო და 35 კმ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზები, 15 კმ თერმული ქსელი და 10 ელექტროსადგური. ბენდერში საგრძნობლად შემცირდა კაბელების წარმოება

დნესტრის ორივე სანაპიროზე გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდა. გაითიშა 330 კვტ და 110 კვტ სიმძლავრის ელექტროგადამცემი ხაზები, რომელთა მეშვეობითაც ელექტროენერგია მიეწოდებოდა დნესტრის მარცხნიდან მარჯვენა მხარეს.”

წყარო: Platzforma, (2017) ‘25 de ani de la Războiul de pe Nistru: greșelile Chișinăului de la începutul conflictului transnistrian’ [25 წელი დნესტრზე ომიდან: კიშინიოვის შეცდომები დნესტრისპირეთის კონფლიქტის დაწყებიდან], 6 March, https://platzforma.md/arhive/36287, წვდომა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

წყარო გ

მოლდოვის ეროვნული ვალუტის შემოღება (მოლდოვური ლეი)

წყარო: Gorelova, E. & Șelari, G. (2009) *'Costurile conflictului transnistrean și beneficiile soluționării lui'* [დნესტრისპირეთის კონფლიქტის ხარჯები და მისი მოგვარების სარგებელი]. Chisinau: CISR, https://www.cisr-md.org/pdf/Report%20ROM%20Master%20Draft%20vEG.pdf, წვდომა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

მძიმე ვითარების გამო, 1992 წლის 10 ივნისს, დნესტრზე მიმდინარე ბრძოლების ფონზე, მიმოქცევაში შევიდა კუპონები. მიუხედავად იმისა, რომ კუპონების შემოღება განიხილებოდა, როგორც დროებითი ღონისძიება, გაგრძელდა წელიწადნახევარი, თითქმის 1993 წლის ბოლომდე, სანამ, საბოლოოდ, მოლდოვური ლეუ გამოვიდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში, კუპონებთან ერთად, შესაძლებელი იყო რუბლითაც გადახდა!

წყარო დ

მოლდოვის დროებითი კუპონების მაგალითები



წყარო: Noi.md (2021) 'Această zi în istorie: La 10 iunie 1992 au apărut cupoanele moldovenești' [დღე ისტორიაში, როდესაც 1992 წლის 10 ივნისს გამოჩნდა მოლდოვური კუპონები], 10 June, https://noi.md/md/economie/aceasta-zi-in-istorie-la-10-iunie-1992-au-aparut-cupoanele-moldovenesti, წვდომა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

წყარო ე

მოლდოვური ლეუ

1993 წლის 29 ნოემბერს მოლდოვის რესპუბლიკაში შემოიღეს ეროვნული ვალუტა - მოლდოვური ლეი. File: MD 1 leu av.jpg, Wikimedia Commons, public domain, https://commons.wikimedia.org/wiki/File:MD_1_leu_av.jpg, წვდომა 2023 წლის 5 დეკემბერს.

ჯგუფი 3 კულტურული გავლენა

წყარო ა

ისტორიკოსი ჩარლზ კინგი ენისა და იდენტობის საკითხების შესახებ დნესტრისპირეთში

„დნესტრისპირეთის კონფლიქტს ხშირად აღწერენ, რუსეთშიც და დასავლეთშიც, როგორც ეთნიკურ ომს კიშინიოვის ნაციონალისტებს შორის, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონდათ გაერთიანებულიყვნენ რუმინეთთან და ეთნიკურ რუსებთან დნესტრისპირეთიდან, რომლებსაც ეშინოდათ გაფართოებულ რუმინულ სახელმწიფოში ასიმილაციის. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მოლდოვური ენის რესპუბლიკის ოფიციალურ ენად მიღებისა და ლათინურ ანბანზე გადასვლის წინადადებამ. დნესტრისპირეთში საბჭოთა სისტემისადმი ერთგულება საკმაოდ ძლიერი იყო და სწორედ აქ შეეძლო ენობრივ რეფორმებს უდიდესი გავლენის მოხდენა.

მიუხედავად იმისა, რომ დნესტრისპირეთში აჯანყება ზოგადად წარმოდგენილი იყო, როგორც სლავური აჯანყება კიშინიოვის ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, 1990 წლის შემდგომი ძალადობის რეალურმა წყარომ პოლიტიკური ელიტების დონეზე გადაინაცვლა." ენობრივი რეფორმის სასარგებლოდ კენჭისყრამ სსრ უმაღლეს საბჭოს გამბედაობა შესძინა რათა განეგრძო კულტურული და პოლიტიკური რეფორმები. დნესტრისპირელები, რომლებიც თვლიდნენ, რომ თითოეული ეს ნაბიჯი იყო მოლდოვის განზრახვა დაეტოვებინა სსრკ და გაერთიანებულიყო რუმინეთთან, ასევე დაიწყეს მზადება გამოყოფისთვის.

წყარო: King, C. (2002) The Moldovans: *Romania, Russia and the Policy of Culture* [მოლდოველები: რუმინეთი, რუსეთი და კულტურის პოლიტიკა]. Chișinău, Republic of Moldova: Arc Publishing House, pp.190-1.

წყარო ბ

არასამთავრობო ორგანიზაცია Promo-LEX-ის განცხადება დნესტრისპირეთის რეგიონში მოლდოვის ეროვნული სკოლების პრობლემებზე.

„ასოციაცია Promo-LEX-ი აღნიშნავს, რომ სამი ათწლეულის განმავლობაში რუმინულენოვანი რვა საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ასწავლის დნესტრისპირეთის რეგიონში, ტირასპოლის დე ფაქტო ადმინისტრაციის მხრიდან ზეწოლისა და დაშინების პირისპირ აღმოჩნდა. ასოციაციამ კონკრეტულად მიუთითა საკუთარი შტაბის არარსებობაზე და იმ ფაქტზე, რომ ისინი, ვინც ახლა ჰყავთ, ცუდად არიან ადაპტირებული საგანმანათლებლო პროცესთან, ჯარში გაწვევასა და ეგრეთ წოდებულ დნესტრისპირეთის არმიაში ჩარიცხვის რისკებთან და ადამიანებისა და საქონლის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფის გამოწვევებთან.

როგისა და კორჟოვას საშუალო სკოლებში საზეიმო მოედნებს[1] ადგილობრივი მილიცია აკონტროლებს. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ეკრძალებათ მოლდოვის რესპუბლიკის ეროვნული ჰიმნის შესრულება და სახელმწიფო დროშის აღმართვა. "Ștefan cel Mare"-ს საშუალო სკოლას არ აქვს შტაბი და მოსწავლეებს სკოლაში მისასვლელად ყოველდღე ათეულობით კილომეტრის გავლა უწევთ.

1 „საზეიმო მოედნები" ეხება სადღესასწაულო გამოფენებს სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს. ბავშვები, მასწავლებლები და მშობლები დგანან კვადრატულ ფორმაციაში, ასრულებენ მოლდოვის ეროვნულ ჰიმნს და აღმართავენ ეროვნულ დროშას. ეს აქტივობები აკრძალულია დნესტრისპირეთში და ამ მიზეზით „საზეიმო მოედნებს" ზედამხედველობს დნესტრისპირეთის ხელისუფლება. ის ასევე, როგორც წესი, გამორთავს ელექტროენერგიას ამ მოვლენების დროს.

ასოციაცია Promo-LEX-მა აღნიშნა, რომ სკოლების პრობლემები და დაშინება თავისთავად გაქრება, თუ რუსეთის ფედერაცია შეასრულებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას მოლდოვის რესპუბლიკის დნესტრისპირეთის რეგიონში განათლების უფლების დარღვევის შესახებ. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ რუსეთის ფედერაცია არის პასუხისმგებელი დნესტრისპირეთის რეგიონში ადამიანის უფლებების, ამ შემთხვევაში განათლების უფლების დარღვევაზე, მაგრამ ამ დრომდე რუსეთის ფედერაცია უარს ამბობს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე."

წყარო: IPN (2021) 'Școlile românești din stânga Nistrului se confruntă cu numeroase presiuni, Promo-LEX' [დნესტრის მარცხენა მხარეს რუმინული სკოლები ზეწოლას განიცდიან, Promo-LEX], 1 September, https://www.ipn.md/ro/scolile-romanesti-din-stanga-nistrului-se-confrunta-cu-numeroase-7967_1084103.html, წვდომა 2023 წლის 4 ოქტომბერს.

საშინაო დავალების აქტივობის სამუშაო ფურცელი

კითხვა	**პასუხი**
რამდენი წლის იყავით დნესტრზე ომის დროს? რა პროფესიის იყავით?	
როგორ გაიგეთ ომის შესახებ? როგორ იგრძენით თავი?	
როგორ გამოეხმაურნენ ომს თქვენს საზოგადოებაში/თემში? როგორ იმოქმედა მათზე ომმა? იცით თუ არა მათი წვლილის შესახებ ომში?	
ეს მოვლენა დღესაც მოქმედებს თქვენზე? რას ფიქრობთ ამაზე დღეს? თქვენმა თემმა ან ოჯახმა განიცადა თუ არა რაიმე სახის ზარალი ან თუ დაკარგა ომში ვინმე?	

თქვენი გამოხმაურება

მოხარული ვიქნებით, თქვენგან მოვისმინოთ, იყენებთ თუ არა ჩვენს მასალებს! მივესალმებით თქვენს კომენტარებსა და გამოხმაურებას სახელმძღვანელოსა და სხვა მასალის შესახებ. დაგვიკავშირდით: info@confronting-memories.org

confrontingmemories
confrontingmems
ConfrontingMemories

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი e.V. / სამდივნო
Badstr. 44, 13357 ბერლინი, გერმანია
ტელ: +49 30 46 06 45 40
info@confronting-memories.org
www.confronting-memories.org

© 2024 CSF e.V. / Confronting Memories
ყველა უფლება დაცულია.

Federal Foreign Office

Confronting Memories იკვლევს ისტორიული მეხსიერების ფენომენს და იმას, თუ როგორ აყალიბებს ისტორიული მოვლენები ქვეყნებსა და საზოგადოებებს დღეს, აქცენტს კი აკეთებს მრავალმხრივ ისტორიულ განათლებაზე. პროგრამა ქმნის სივრცეს მნიშვნელოვანი დიალოგისთვის, სხვადასხვა პერსპექტივით მე-20 და 21-ე საუკუნის ისტორიაზე და აერთიანებს ურთიერთსაწინააღმეგო შეხედულებებს საერთო საფუძვლის ძიებისას.

“სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი” არის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი, რომელიც მუშაობს მთელ ევროპაში. მისი ხედვაა ჩამოაყალიბოს სამოქალაქო საზოგადოება საზღვრებს მიღმა, მთელ კონტინენტზე, რომელიც დაფუძნებული იქნება პლურალისტური დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და კლიმატური სამართლიანობის საერთო ღირებულებებზე.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი e.V. / სამდივნო
Badstr. 44, 13357 ბერლინი, გერმანია
ტელ: +49 30 46 06 45 40
info@confronting-memories.org
www.confronting-memories.org